CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 15 ივნისი, 2009 წელი. №132 (2170) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ლუკაშენკოს ანტირუსული დემარში
A2

პრესომბუდსმენი
A3



„ლეიბორისტების" ერაყული ჩიხი
A7

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ჩვენი საფაზლვეო ჯგუფი

დიპკორპუსი ძალადობის წინააღმდეგ

დათო გამისონია

საქართველოში აშშ-ს და საფრანგეთის საელჩოებმა შეაფასეს საპროტესტო აქციის მონაწილეებსა და პარლამენტის რიგგარეშე პლენარული სხდომიდან გამოსულ დეპუტატებს შორის მომხდარი ინციდენტი. გარდა ამისა, აღნიშნული ფაქტის შესახებ კომენტარი გააკეთა ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნებიმ.

ამერიკის შეერთებული შტატები გმობს საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიერ პარლამენტის წევრებსა და მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარეზე 12 ივნისს განხორციელებულ თავდასხმას, - ნათქვამია საქართველოში აშშ-ს საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ამავე დროს, საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი წუხს, რომ საპროტესტო აქციის ზოგიერთმა ლიდერმა მხარი დაუჭირა ადამიანებსა და მათ ქონებაზე მიტანილ იერიშს. შეერთებული შტატების საელჩო მიიჩნევს, რომ ამგვარი ქმედება ეწინააღმდეგება საპროტესტო აქციის ლიდერთა ადრინდელ განცხადებებს, რომლებიც არაძალადობრივი მოქმედებისკენ მოუწოდებდნენ. **ხსენებულმა თავდასხმებმა ხელი შეუშალა ოფიციალური პირების საქმიანობას და გადაკვეთა ხაზი, რომელიც აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და კრიმინალურ ქმედებას შორის არის გავლებული,** - აღნიშნულია განცხადებაში.

გაგრძელება A2 გვერდზე

AFP ' 2009

თავშეკავებული დასავლეთი და მღელვარება ირანში

ივა შილაკაძე

12 ივნისს ირანში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. არჩევნების შედეგები შაბათს, დღის პირველ ნახევარში გამოცხადდა. გაიმარჯვა მოქმედმა პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადიმ. მან, ოფიციალური მონაცემებით, ხმების 62,63 პროცენტი მიიღო, მის მთავარ კონკურენტ მირ-ჰოსეინ მუსავის 33,75 პროცენტი ერგო. ხალხის აქტივობა რეკორდული იყო. საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა, დაახლოებით, 85 პროცენტი მივიდა. ხმის მისაცემად დიდი რიგები იდგა. არჩევნების შედეგები მალევე დაადასტურა შინაგან საქმეთა მინისტრმა სადეკ მასულიმ (ეს უწყებაა ირანში არჩევნებზე პასუხისმგებელი) და განაცხადა, რომ ნებისმიერი სხვა მონაცემები არალეგიტიმურია.

გაგრძელება A7 გვერდზე

AFP ' 2009

CMYK - 1

ვოიაჟი სიღნაღში

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ერიკ ფურნიემ ოჯახებთან ერთად დაათვალიერეს სიღნაღის მუზეუმში გამოფენილი პიკასოს ნახატები. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გამოფენებიც იქნება წარმოდგენილი. "ნიკა რურუასთან ერთად ვაკეთებთ ცისფერი გალერეის მასშტაბურ რესტავრაციას. გარდა ამისა, ბევრი რამ გაკეთდება იმისთვის, რომ გვქონდეს მართლაც ძალიან თანამედროვე საგამოფენო დარბაზები თბილისში, ბათუმში, ქუთაისში და ასე შემდეგ. რაც არ უნდა პრობლემები იყოს, ქართული კულტურის განვითარება გაგრძელდება. ქართველები ძალიან ნიჭიერი ხალხი ვართ და სასწაულებს გავაკეთებთ ხელოვნებაში, - აღნიშნა სააკაშვილმა. "გამოფენა ძალიან მომეწონა. ის, რომ ერთი კვირის განმავლობაში ექსპოზიცია 11 ათასმა ადამიანმა დაათვალიერა, ქართველების მაღალ კულტურულ დონეზე მიუთითებს, - განაცხადა სიღნაღში მყოფმა ერიკ ფურნიემ

მედიანიუსი

რეზოლუციის მოლოდინში

გაერო-ს ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭო დღეს საქართველოში გაერო-ს მისიის მანდატის გაგრძელების საკითხს განიხილავს და შესაბამის რეზოლუციას მიიღებს. ახალ რეზოლუციაში გათვალისწინებული უნდა იყოს გენერალური მდივნის ანგარიშში დაფიქსირებული რეკომენდაციები. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, საქართველო ტერიტორიული მთლიანობის საკითხში არანაირ ვაჭრობასა და კომპრომისზე არ წავა. პრეზიდენტმა განმარტა, რომ საქართველომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებთან ინტენსიური კონსულტაციები გამართა და მას საქართველოსადმი მსგავსი მხარდაჭერა 1993 წლიდან არ ახსოვს.

ჯი-ეიჩ-ენი

ქართველი მესაზღვრეები მამისონის უღელტეხილამდე პატრულირებენ

ქართველი მესაზღვრეები რამდენიმე დღის წინათ ე.წ. ნიკოლოზის ხიდის აფეთქების შემდეგ კურორტ შოვთან დაბანაკდნენ. ისინი აფეთქებული ხიდის მეორე მხარესაც პატრულირებენ. სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილემ კობა ბოჭორიშვილმა განაცხადა, რომ პატრულირება, რა თქმა უნდა, რუსეთ-საქართველოს საზღვრამდე ხორციელდება და არა კურორტ შოვამდე, როგორც ამის შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა. საზღვარზე ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც ბოლო წლების განმავლობაში იყო და იქ უჩვეულო არაფერი ხდება. რაც შეეხება მეტეოცენტრის ტერიტორიას, იქ ამ დროისთვის არც ერთი მხარის მესაზღვრე არ დგას და ორივე მხრიდან მხოლოდ პატრულირებენ.

ინტერპრესნიუსი

არჩევნები საქართველოს სკოლებში

გუშინ საქართველოს 2000-ზე მეტ საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოების ხელახალი არჩევნები ჩატარდა. შესაბამისი ბრძანებულება განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ გამოსცა. სკოლების სამეურვეო საბჭოები 3 წლის ვადით აირჩევა და მასში მასწავლებლები და მშობლები მიიღებენ მონაწილეობას.

სამეურვეო საბჭოს წევრობის მსურველებმა განაცხადები 3-დან 10 ივნისის ჩათვლით შესაბამისი საარჩევნო კომისიებში შეიტანეს. კენჭისყრის პროცედურა გუშინ 16:00 საათზე დასრულდა. მინისტრმა ნიკა გვარამიამ განმარტა, რომ სამეურვეო საბჭოების არჩევნებზე მნიშვნელოვანი დარღვევები არ ყოფილა. გარკვეული ექსცესები იყო, მაგრამ ამას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. ამ შემთხვევების შესახებ ინფორმაციას ჩვენ როგორც ცხელ ხაზზე, ასევე დამკვირვებლების მეშვეობით ვღებულობთ და ამას სამინისტრო უახლოესი რამდენიმე დღის განმავლობაში შეისწავლის.

ჯი-ეიჩ-ენი

დიპკორპუსი ძალადობის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

აშშ-ს საელჩო სთხოვს ყველას, ვინც მხარს უჭერს ფართო პოლიტიკურ დიალოგსა და პასუხისმგებელ მმართველობას, დაგმოს ზემოხსენებული ქმედებები. **დაჟინებით ვთხოვთ საპროტესტო აქციის ლიდერებს, შეწყვიტონ თავდასხმები. ამერიკის შეერთებული შტატები მოუწოდებს მთავრობასა და არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებს, დაუყოვნებლივ განაახლონ კონსტრუქციული მოლაპარაკებები და დიალოგი,** - აღნიშნულია განცხადებაში.

შეერთებული შტატების ოფიციალური განცხადების გამოქვეყნებამდე საპროტესტო აქციის მონაწილეების ქმედებები დაგმო საქართველოში საფრანგეთის ელჩმა ერიკ ფურნიემ. მისი თქმით, **ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებს ქვები ესროლეს და დემოკრატიას შეურაცხყოფა მიაყენეს; ასევე შეურაცხყოფა მიაყენეს ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩს, რომელიც ადგილზე საქმის გასარკვევად მივიდა.** საფრანგეთის ელჩმა მოუწოდა ყველა პოლიტიკურ პარტიას, თავი შეიკავოს ძალადობისა და პროვოკაციისგან. ერიკ ფურნიემ, აგრეთვე, გამოთქვა იმედი, რომ პრეზიდენტსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის დაწყებული კონსულტაციები გაგრძელდება.

პარლამენტის შენობასთან მომხდარი ინციდენტი დაგმო ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნებიმაც. მან რადიო თავისუფლებას განუცხადა, რომ **საკმაოდ შემაწუხებელია ის ძალადობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 12 ივნისს პარლამენტის შენობასთან. გარკვევით უნდა ითქვას და ოპოზიციის ლიდერებმაც უნდა განუმარტონ თავიანთ მომხრეებს, რომ ამგვარი ქმედებები მიუღებელია. ამავე დროს, ორივე მხარე პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს თავიანთ ქმედებებს და ეს ხელისუფლებასაც ეხება.** მომხდარი ინციდენტის მიუხედავად, სემნები მიესალმა პლენარული სხდომის ჩატარებას. **უპირველეს ყოვლისა, ვიტყოდი, აშკარად კარგი ნიშანია, რომ პარლამენტმა საქმიანობა განაახლა. მიუღებელია, როცა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალური ორგანიზაციის მუშაობა ასე ხანგრძლივი დროით არის შეჩერებული,** - მიიჩნევს სემნები. საქართველოში შექმნილი ვითარების გამო პიტერ სემნებიმ პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებას მიმტევებლური პოზიციის გამოხატვისკენ მოუწოდა. **ოპოზიციის აქტივისტების დაკავებამ შესაძლოა, გაართულოს (და არა პირიქით) პოლიტიკური პროცესი და დიალოგის შესაძლებლობა. ზოგიერთი იმ ქმედების ჩამდენი პირი, რისი მოწმენიც გავხდით, უნდა დაისაჯოს, მაგრამ საჭიროა დიფერენცირება და ხელისუფალთა მხრიდან უნდა იყოს თავშეკავება, მე ვიტყოდი - მიმტევებლობაც კი. საკითხი რომ განვაზოგადოთ, იყო პოლიტიკური წინააღმდეგობის ზოგიერთი აქტივისტის ცემის ფაქტებიც და ამასაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს სათანადო რეაქცია ხელისუფლების მხრიდან,** - აღნიშნავს ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი.

უცხოელი დიპლომატების განცხადებების შემდეგ კომენტარი გააკეთეს არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა. მათი აზრით, ამ ტიპის შეფასებები მიუკერძოებელი უნდა იყოს. კახა კუკავამ განაცხადა, რომ **მანამ, სანამ გია თორთლაძეს წაუთაქებდნენ, ბოლო ორი თვის განმავლობაში ასეულობით საქართველოს მოქალაქე აწამეს სასტიკად. ამიტომ ეს ყველაფერი ერთიან კონტექსტში უნდა შეაფასონ და უნდა ითქვას, თუ რამ გამოიწვია აგრესია პარლამენტის წევრების მიმართ.**

მას შემდეგ, რაც აშშ-ს საელჩო 12 ივნისს მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა, მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ განმარტება გააკეთა: **თეთრი სახლის ადმინისტრაციის განცხადება პირდაპირ მიანიშნებს, რომ პროცესები მშვიდობიანად უნდა განვითარდეს და ამაზე ხელისუფლებამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა. ჩვენი აქციები იქნება კონსტიტუციური, სრულიად კანონიერი და არაძალადობრივი, მაგრამ, როცა თავს ესხმი მშვიდობიან მომიტინგეებს, მათ აქვთ თავის დაცვის უფლება და ეს კანონში წერია, კერძოდ, საერთაშორისო სამართალში და ეროვნულ კანონმდებლობაში.**

ლუკაშენკოს ანტირუსული დემარში

დიმიტრი ავალიანი

ალექსანდრ ლუკაშენკომ რუსეთის მიერ გამოცხადებულ რძის ომს პასუხი გასცა - კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის გუშინდელ სამიტს პროტესტის ნიშნად არ დაესწრო. მას შემდეგ, რაც ლუკაშენკომ რუსეთი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ცნობის საკითხზე შანტაჟში დაადანაშაულა, მოსკოვის და მინსკის ურთიერთობა დღითიდღე უარესდება. ბელარუსი რუსეთთან სრულყოფილი სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმის შემოღებაზეც ფიქრობს.

იმის შესახებ, რომ ბელარუსს შესაძლოა, მონაწილეობა არ მიეღო პრორუსული გაერთიანების სახელმწიფოს მეთაურთა და საგარეო საქმეთა მინისტრთა სამიტში, მინსკში ჯერ კიდევ წინა დღეებში აცხადებდნენ.

საბოლოოდ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის - ო-დე-კა-ბე -ს (რომლის შემადგენლობაში რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი და სომხეთი შედის) სამიტში მონაწილეობაზე უარი ბელარუსის ხელისუფლებამ ოფიციალურად გუშინ, სამიტის დღეს დაადასტურა. ამის შესახებ ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა ანდრეი პოპოვმა განაცხადა.

ამჟამად ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს მხრიდან ბელარუსის ღია ეკონომიკური დისკრიმინაციის მოწმეები ვართ. ასეთი ქმედებები ობიექტურად ძირს უთხრის ეკონომიკურ უსაფრთხოებას, რომელიც სტაბილურობის და, შესაბამისად, საერთო უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს, - განმარტა პოპოვმა.

მისი თქმით, ბელარუსი რუსეთის მიერ სავაჭრო აკრძალვების გაუქმებას ბოლო მომენტამდე ელოდა, რის შემდეგაც იძულებული გახდა, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სესიაში მონაწილეობაზე უარი ეთქვა.

თანაც, როგორც ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განმარტებაშია ნათქვამი, კოლექტიური უსაფრთხოების ორგანოების სხდომებში მონაწილეობაზე ბელარუსის უარი **ნიშნავს ბელარუსის თანხმობის არარსებობას ამ ორგანოების მიერ განხილულ გადაწყვეტილებებზე და, შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიღებაზე კონსენსუსის არარსებობას.**

თუმცა, ამაზე რუსულ მხარეს განსხვავებული აზრი აქვს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის თქმით, სამიტში მონაწილეობაზე ბელარუსის უარი **ხელს ვერ შეუშლის დღევანდელ სხდომაზე დაგეგმილი დოკუმენტების შემუშავებასა და ხელმოწერას.**

სამიტზე ბელარუსის პრეზიდენტის არყოფნა გავლენას ვერ მოახდენს შეხვედრის მიმდინარეობაზე, - განაცხადა, თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ სერგეი პრიხოდკომ. მისი თქმით, **მონაწილეობა ან უარი მონაწილეობაზე ყველა ქვეყნის სუვერენული უფლებაა.**

თავად დმიტრი მედვედევმა სამიტის გახსნისას განაცხადა, რომ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც გუშინდელ გადაწყვეტილებებს არ შეერთებიან, ამის შესაძლებლობა მოგვიანებით ექნებათ. მან ბელარუსის ხელისუფლებას მოუწოდა, **ეკონომიკური საკითხები უშუალო კონტაქტების გზით მოაგვაროს** და იმედი გამოთქვა, რომ **ეს რძის ისტერიკა ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალების საკითხზე მუშაობას ხელს ვერ შეუშლის.**

გუშინდელ სხდომაზე ორგანიზაციის თავმჯდომარეობა სწორედ ბელარუსს უნდა ჩაბარებოდა. თუმცა, დმიტრი მედვედევის განცხადებით, ბელარუსის დელეგაციის არყოფნის გამო თავმჯდომარეობა დროებით რუსეთს დაეკისრება.

ო-დე-კა-ბე -ს გუშინდელ შეკრებაზე ერთ-ერთი მთავარი საკითხი გაერთიანების დაქვემდებარებაში ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალების შექმნა გახდა. მონაწილეებმა ძალების შემადგენლობა და სტრუქტურა დაამტკიცეს. თუმცა, შეთანხმების ხელმოწერისგან უზბეკეთმა თავი შეიკავა. ამ ძალების შექმნის ინიციატივით რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი გასული წლის სექტემბერში, საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემდეგ გამოვიდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას მიღებისთანავე გამოეხმაურა ბელარუსის საგარეო უწყება. ოფიციალური მინსკის აზრით, გადაწყვეტილება კოლექტიური ძალების შექმნის შესახებ არალეგიტიმურია, ვინაიდან ბელარუსის გარეშე იქნა მიღებული.

რუსეთთან ურთიერთობათა გადახედვა ბელარუსის მიერ მხოლოდ ო-დე-კა-ბე -ს სამიტზე დასწრებაზე უარით არ შემოფარგლულა. ბელარუსის პრეზიდენტის დავალებით ჩატარდა სახელმწიფო სასაზღვრო და საბაჟო უწყებების ერთობლივი თათბირი, რომელზეც ბელარუს-რუსეთის საზღვარზე სრულყოფილი სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის უმოკლეს ვადებში დამყარების შესაძლებლობა განიხილეს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ნოდარ ლადარია



ნიყვი, Amanita Caesarea — ძველი რომაელები მას ხან "ღმერთების საჭმელს" უწოდებდნენ, ხანაც სოკოთა თავადს (princeps fungorum)... გასულ კვირას ჩვენი გაზეთის მეშვეობით ისიც გავიგეთ, რომ ნიყვი გენერალ ბორისოვსაც ჰყვარებია. ამ კურიოზულ ამბავს კვლავაც დავუბრუნდებით, ახლა კი მხოლოდ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: სოკოთა თავადს მიმბაძველებიც ჰყავს, კერძოდ, წითელი შხამა სოკო, Amanita muscaria, რომლის ჭამა სახიფათოა, თუ არა მომაკვდინებელი.

ცხოვრებაშიც ხშირად ხდება ასე — მტრისა და მოყვრის გარჩევა არც თუ ისე ადვილია. მაგრამ ცხოვრების მრავალფეროვნებას ახლა ვერ განვიხილავთ, ჩვენ ტექსტებზე ვსაუბრობთ, თანაც, თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა, ძირითადად, "24 საათში" დაბეჭდილ ტექსტებზე.

განსაკუთრებული კი გასულ კვირას არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ გაეროში აღინიშნა ერთგვარი შემობრუნება სახით ჭეშმარიტებისაკენ, ქუჩის ოპოზიციამ კი თავისი ევოლუციის, უფრო სწორად, დევოლუციის გზაზე კვერცხობის ეტაპში შეაბიჯა. ამ ერთმანეთისაგან უსასრულო მანძილით დაშორებული საკითხების ერთ სტატიაში მოთავსება ნამდვილად აღემატება ჩვენს შესაძლებლობებს, ამიტომ ისევ ტექსტებს მივმართოთ და იქნებ შევეცადოთ იმის დანახვა, რასთან გვაქვს საქმე — ძვირფას დელიკატესთან, თუ გულისრევისა და თავბრუსხვევის მიზეზთან...

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ არც ერთი განსახილველი ტექსტი არ არის დაწერილი კარგად. ერთი მხრივ, ეს ნაკლია, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ღირსებაც იყოს. ვიღაცამ, თუ არ ვცდები, რუსმა ლიტერატურის თეორეტიკოსმა იური ტინიანოვმა თქვა, რომ, როცა ირგვლივ ყველა კარგად წერს, ცუდად წერა ორიგინალობაა. ახლა კი მივუბრუნდეთ თვით ტექსტებს.

პირველი ეკუთვნის დეპუტატ გია თორთლაძეს, საქართველოს დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს. 10 ივნისს გამოქვეყნებული სტატიის სათაურია "რას ნიშნავს რადიკალური ოპოზიცია". ავტორი მართლაც საშურ საქმეს ჰკიდებს ხელს: "ჩვენ გვსურს განვმარტოთ ამ ტერმინის რაობა, რადგან ეს გახლავთ პოლიტიკური ტერმინი და საქმე არა გვაქვს ზედმეტსახელთან". გულუბრყვილობა იქნება იმაზე ფიქრი, რომ ამ წინადადებას გააზრებენ კი არადა, წაიკითხავენ ტელეარხების საინფორმაციო სამსახურის უფროსები. არადა, ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა.

ამის შემდეგ მოდის ტერმინის ინფორმაციულად ტევადი განმარტება. მართალია, ჟან-ჟაკ რუსოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომის სათაური ცოტა უცნაურადაა გადმოცემული: "საზოგადოებრივი ხელშეკრულება ან პოლიტიკურ უფლებათა პრინციპები". ჯერ ერთი, აქ რომ "ანუ" უნდა ეწეროს და არა "ან", თავისთავად გასაგებია. ამის გარდა, ფრანგული სიტყვა droit (სათაურში მხოლობით რიცხვში დგას) არის როგორც "უფლება", ასევე "სამართალი". ერთი სიტყვით, მე ნაწარმოების სათაურს ასე ვთარგმნიდი: "საზოგადოებრივი ხელშეკრულებისათვის, ანუ პოლიტიკური სამართლის საწყისები". მაგრამ ჩვენ მადლობა გადავუხადოთ ავტორს იმისთვის, რომ სწორედ მისი წყალობით ჩვენი ტექსტი რამდენადმე მაინც დაემსგავსა კრიტიკას. გარდა ისტორიული ცნობებისა, სტატიაში მოცემულია ტერმინის ეტიმოლოგიაც და ამასთან დაკავშირებული ერთი თავშესაქცევი დეტალიც, ანუ "ერთგვარი სატირული შედარება ფრანგ რადიკალებსა და ბოლოკს შორის". ავტორი გვამცნობს: "იუმორის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ფრანგულად radis ნიშნავს ბოლოკს, ანუ გარედან წითელი, შიგნით კი თეთრი". საერთოდ, სტატიის ეს განმარტებითი ნაწილი მართლაც მშვენივრადაა დაწერილი. ერთი შეხედვით, ეს ადვილია: არსებობს უამრავი ლიტერატურა — გაიჯეჯილებ თუნდაც "ვიკიპედიაში" და თავიც ქუდში გაქვს. მაგრამ არ არის ასე, რადგან მასალის გადმოცემის რიტმი და მიმდევრობა აშკარად ითვალისწინებს საქართველოს აქტუალურ მდგომარეობას და სწორედ იქ, სადაც განმარტებითი ნაწილი მთავრდება და ავტორი ამ მდგომარეობის განხილვაზე უნდა გადავიდეს, გადმოცემის დაძაბულობა მწვერვალს აღწევს: "პოლიტიკური ოპოზიცია არის ხელისუფლების ძალაუფლების შეზღუდვის ინსტრუმენტი, ხოლო რადიკალური ოპოზიცია წარმოადგენს ხელისუფლების შეცვლის ინსტრუმენტს".

აი, ამ დასკვნის შემდეგ გადადის გია თორთლაძე ქართული პოლიტიკური რეალობის განხილვაზე. თუმცა აქაც მიმართავს იმას, რასაც კონტრაპუნქტში გადაბმის ან შემაკავშირებელ პარტიას ეძახიან და მოჰყავს ჰოლანდიელ რადიკალთა განცხადება, რომელმაც მკითხველში ქართულ სინამდვილესთან აშკარა ასოციაცია უნდა გამოიწვიოს. განცხადება ასეთია: "თუ დადგება კრიზისი, ეს ჩვენი უკანასკნელი შანსია! უნდა შევძლოთ სახელისუფლებო კრიზისის პროვოცირება!".

მაგრამ სწორედ აქედან იწყება ის ვითარება, რომლის გამოც დასაწყისში ვთქვი, რომ ეს ტექსტი (ისევე როგორც მეორე, ჯერ არდასახელებული) ცუდადაა დაწერილი. ამის შემდეგ, როცა მკითხველში უკვე მომწიფდა მიმდინარე მოვლენების გააზრებისა და შეფასების მზადყოფნა, ავტორი წარსულში ინაცვლებს და მოჰყვება იმის მტკიცებას, როგორ იყენებდნენ პოლიტიკური რადიკალიზმის იარლიყს ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ: "გვახსოვს, — წერს გია თორთლაძე, — თუ რა ეპითეტების დამკვიდრებას ცდილობდნენ ისეთი გამორჩეული ჰუმანისტის მიმართ, როგორიც იყო ზვიად გამსახურდია. 'ფაშისტი', 'ჩაუშესკუ', 'პროვინციული ფაშიზმი' და ა. შ.". ამის შემდეგ არის მოყვანილი რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ რას და როგორი მეთოდებით მიაღწია "გამორჩეულმა ჰუმანისტმა". რა თქმა უნდა, ეს მაგალითები, რომც დავკმაყოფილდეთ მათი ისტორიული გადმოცემის სისწორით, მხოლოდ ცალმხრივად თუ ახასიათებს ეპოქას, მაგრამ ტექსტში ვხვდებით არგუმენტაციის სხვაგვარ სისუსტესაც. მაგალითად, ცნობილი ლოზუნგი: "საქართველო ქართველებისათვის!". მის პირველ "გამხმოვანებლად" გია თორთლაძეს გენერალი როდიონოვი გამოჰყავს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ყოველდღიური გაზეთის, "ლენინსკოე ზნამიას" 1989 წლის 16 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული მისი სტატიის საფუძველზე. სტატიაში როდიონოვი აღწერს თბილისში, კინოს სახლის წინ 10 ივლისს გამართულ მიტინგს, რომელზეც, მისი თქმით, გამსახურდია და კოსტავა აცხადებდნენ: "საქართველო ქართველებისათვის!".

არგუმენტი, რა თქმა უნდა, სუსტია, რადგან გულისხმობს, რომ, რახან როდიონოვია, ესე იგი, აუცილებლად ტყუის ან ვინმეს დირექტივას ასრულებს და დეზინფორმაციას ავრცელებს.

არა, ახლა სულ არ გვინდა იმაზე კამათი, რას წარმოადგენდა ზვიად გამსახურდიას დროინდელი საქართველო. ამისთვის საგანგებო მომზადებაა საჭირო. მე სხვა მიზანი მაქვს და მის მისაღწევად მოვიყვან გია თორთლაძის სტატიის დასასრულს: "იმისათვის, რომ განვსაჯოთ დღევანდელი პოლიტიკური ვითარება, აუცილებელია უახლესი ისტორიის ცოდნა. პრეცედენტები და ანალოგები ისტორიასა და პოლიტიკაში არის საფუძველი პოლიტიკური ანალიზისთვის". ეს მთლად დასასრული არ არის, მაგრამ საბოლოო დასკვნას გამოხატავს.

რას ნიშნავს ეს? — ვერა, ვერ იტყვის ბ-ნი გია თორთლაძე პირდაპირი ტექსტით, რომ ვისაც დღევანდელი ხელისუფლების გადაყენება სურს, გამოუსწორებელ შეცდომას სჩადის! ამიტომაც აფუჭებს თავის სტატიას ისტორიის ზედაპირული გადმოცემითა და ნახევრად გამჭვირვალე მინიშნებებით. მან თვითონ "ხელისუფლების ძალაუფლების შეზღუდვის ინსტრუმენტობა" აირჩია — ეს პატივსაცემი არჩევანია. მაგრამ ქუჩის ოპოზიციის არსებობის ფაქტი მის მოქალაქეობრივ სინდისს კრიზისში აგდებს: შეზღუდვის მაგიერ, იგი იძულებულია მხარი დაუჭიროს ხელისუფლებას.

დიახ, არსებობს ვითარება, როცა ასეთი გარეგნულად პარადოქსული რამეები ხდება. ასეთი ვითარებები ყველა სინდისიერ ადამიანში სამშობლოს გრძნობის გამწვავებას იწვევს. სწორედ ამასთან გვაქვს საქმე გია თორთლაძის შემთხვევაში და მისი ტექსტის თითქოსდა უვარგისობის მიღმა დელიკატესი იმალება: ადამიანი რომელიც აღღოთი გრძნობს საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს.

აი, მეორე ტექსტს, რომელსაც სწორედ რომ "ნიყვი" ჰქვია და რომელიც დათო ტურაშვილმა 11 ივნისს გამოაქვეყნა, დელიკატესობისა არაფერი ეტყობა. ეს უფრო წითელი შხამა სოკოა. ასეთ პირდაპირ განცხადებას დამტკიცება სჭირდება.

ტექსტში მოყვანილია ამბავი: აგვისტოს ომის დროს, გენერალი ბორისოვი მასთან მოსალაპარაკებლად მისულ ქართველ ჩინოვნიკს (ამ ტერმინითაა მოხსენიებული ეს ოფიციალური პირი ტექსტში) სთხოვს ნიყვის მოტანას. ქართველი ჩინოვნიკი დაიბნევა და დუმილით შეხვდება უცნაურ მოთხოვნას. აქამდე ყველაფერი თითქოს წესრიგშია: ამის დანახვა ადამიანს თვითონაც შეუძლია და მონაყოლშიც მოისმენს. მაგრამ ამას მოსდევს ვარაუდების მთელი წყება, რომელიც ერთ მთავარ ვარაუდს ეყრდნობა: თურმე მთვრალი ბორისოვი წამდაუწუმ კითხულობდა... ტექსტში ეს შეკითხვა მეტისმეტი რეალობისთვის რუსულადაა მოცემული, მაგრამ კლავიატურის გადართვა მეზარება და ქართულად ვთარგმნი: "სად არის ის სირი, მე რომ ნიყვს დამპირდა?". ბილწსიტყვაობა და რუსულ ენაში ქართული სიტყვის ("ნიკვი") გარევა — აი, ორი რამ, რაც პოსტსაბჭოთა რუს გენერალს ლამის პორტრეტულად ახასიათებს. ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ეპიზოდი მაინც არ არის დამაჯერებელი ორი მიზეზის გამო.

ჯერ ერთი, საიდან იცის ავტორმა, რას იძახდა მთვრალი ბორისოვი? მეორეც, რას ემსახურება ამ თავისთავად აბსურდული ეპიზოდის გადმოცემა?

ჯერ ის აღვნიშნოთ, რომ დავით ტურაშვილი დიდის ამბით გვამცნობს, რომ მტერი სძულს და სულით და გულით საქართველოს მხარეზეა. ამისათვის ერთობ ჯიგრულ ხერხს მიმართავს: "მოკლედ, გასულ აგვისტოში, უკვე იგოეთის ტეკთან რომ მოგვადგნენ ეს დედამოტყნულები...". ჯადოსნური სიტყვა წარმოთქმულია: აბა, ქართვლისა გულმან როგორ გაუძლოს ამის შემდეგ? როგორ დასწამოს ორპირობა კაცურ კაცს?

მაგრამ აქ დროა გია თორთლაძის სტატიის დამაგვირგვინებელი ფრაზა მოვიყვანოთ: "ნურავის ნუ დაუჯერებთ სიტყვაზე. ავტორიტეტული არის მხოლოდ ფაქტი და არგუმენტი".

არგუმენტები კი შემდეგია:

ავტორის თანახმად, ის ჩინოვნიკი ჩუმად იდგა, რადგან "ჩვენსავით აღმოაჩინა, რომ ის მილიარდები, საყოველთაო შეიარაღებას რომ მოვახმარეთ რამდენიმე წლის მანძილზე, რამდენიმე დღეში გაგვიქრეს". ნეტა, საიდან ასკვნის, რომ "გამარჯვებული" ომი "დამარცხებულზე" იაფი ღირს?

"რასაც ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში ამბობდა, ოცდამეერთეში არ დავიჯერეთ და ახლაც გვგონია, რომ ტანკსა და ზარბაზანს უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე წიგნს, განათლებას და ეკონომიკას" — აქ უკვე ისეთ დონეზე ვართ, რომ მადლობა უნდა ვთქვათ, დათო ტურაშვილი თავისი მეგობრის, გია გაჩეჩილაძის კვალზე იმას რომ არ ამბობს, ილია ჭავჭავაძე ეტლით დადიოდა ლენინგრადშიო. ჯერ ერთი, შედარება სულელურია: ტანკი და ზარბაზანი, თავისთავად, კი არ უპირისპირდება განათლებასა და ეკონომიკას, არამედ იცავს მათ. მეორეც, განათლებული კაცი ასე გულუბრყვილოდ არ მსჯელობს, განვითარებული ეკონომიკა კი ყოველთვის გულისხმობს სამხედრო ხარჯების შესაბამის ზრდას.

და ბოლოს სრულიად ნუგბარი აბზაცი: "საქართველოს ხელისუფლების არჩევანსა და პრიორიტეტს ზემილიტარიზაციასთან დაკავშირებით ამიტომაც კატეგორიულად არ ვეთანხმებოდი რუსეთ-საქართველოს ომამდეც, მაგრამ თუ ომი დაიწყო, სამი კვირით მაინც უნდა გვეომა და ჩეჩნებივით თუ არა, ქართველებივით მაინც უნდა გვებრძოლა". ამ აბზაცში ორგანულად გამოიხატა მთელი ოპოზიციური სპექტრი: გუბაზ სანიკიძის "ნეიტრალიტეტიდან" პატიმრობამდელი ირაკლი ოქრუაშვილის აგრესიულობამდე! ანდა ის აღვნიშნოთ, რომ ავტორს ვერ გაურჩევია, ვის დაუკრას თავი: ამერიკაში გადახვეწილ "მშვიდობოლოგ" ძმაკაცებს, თუ მარაბდისა და ათობით სხვა ველზე დაღუპულ გმირებს. ეს მისი პრობლემაა. ჩვენი პრობლემა კი სხვაა: ვერ გავიგე, რატომ უნდა წამოვეგოთ იმის ანკესზე, ვინც დაღვრილი სისხლის ნაკლებობას გვსაყვედურობს, ვისაც ქართულ მიწაში ჩადებული ნაღმები ეცოტავება და ეს ყველაფერი მშვიდობისა და განათლების სახელით?

არა, ბატონებო, ეს ტექსტი ნიყვი არ არის — ეს შხამა სოკოა და თანაც წითელი.

თავსატეხი უფროსებისთვის

სოფიო თოდუა





ხატია კიკალეიშვილის ფოტოები

"და რესპუბლიკურ საავადმყოფოს რა ჭირს?" - კითხვაზე კითხვითვე მომიგო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა. რა შეკითხვას დასვამდა ჟურნალისტი და რატომ, ადვილად მიუხვდებით, თუ ფოტოებს დახედავთ. ორივე მათგანი ერთ შენობაშია გადაღებული: ერთი "ემერჯენსის" ფლიგელში, რომელიც ქართველმა მეცენატმა გაარემონტა, მთელი ფასადი მწვანედ შემინა და ყველა გაგვახარა, მეორე - საავადმყოფოს ძირითად ნაწილში, რომელსაც ნ. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა ჰქვია და რომლის რეაბილიტაციაც სახელმწიფომ იტვირთა. არადა, ერთი მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების შემდეგ ბატონი მინისტრი იმიტომ არ დაგვიყოვნებია, რომ კაპიტალურ რემონტზე და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვაზე გველაპარაკა - ამაზე სხვა დროს და სხვა ტონალობაში. კომენტარს ასეთი გაგრძელება მოჰყვა: "ჩვენს სახელმწიფოს კიდევ კარგა ხანს არ ექნება იმდენი ფული, რომ საუნივერსიტეტო კლინიკამ ამ ფორმით იარსებოს". რადგან ბატონ მინისტრს ეჩქარებოდა, ვერ დავადგინეთ, რამდენად მნიშვნელოვანია სამინისტროსთვის ფორმისა და შინაარსის ერთიანობა. მნიშვნელოვანი კი უნდა იყოს, რადგან აქაურობა ფორმით, როგორც საუნივერსიტეტო კლინიკა, განათლების სამინისტროსია, შინაარსით კი - ჯანდაცვის.

სამაგიეროდ, არსად არ ეჩქარებოდა პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ოთარ თოიძეს და ჩვენი სატელეფონო საუბრიდან შემდეგი შევიტყვეთ: როგორც კი პარლამენტი მოიცლის და გადახედავს კანონებს ჯანმრთელობის დაცვისა და საექიმო საქმიანობის შესახებ, სავარაუდოდ გაირკვევა საუნივერსიტეტო კლინიკის საკითხი. ამჟამად იგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, სახელმწიფოს ასპროცენტიანი წილობრივი მინაწილეობით. როგორც ამბობენ, სამედიცინო უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა გიორგი მენაბდემ იმიტომ დატოვა თანამდებობა (თუმცა გზადაგზა სხვა მიზეზებიც ჩნდება), რომ იგი წინ ვერ აღუდგა უნივერსიტეტისთვის კლინიკების ჩამორთმევის პროცესს, რაზეც ჩვენი გაზეთი წერდა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ 30 ივნისს დანიშნულ რექტორის არჩევნებს ლაიტმოტივად გაჰყვება საუნივერსიტეტო კლინიკების პრობლემა. ჩვენ შეგნებულად არ ვთხოვეთ კომენტარი რექტორობის კანდიდატებს, რადგან გვგონია, რომ ხუთივე პრეტენდენტი თავიანთ სათქმელს არჩევნების დღეს იტყვის. რაც შეეხება საუნივერსიტეტო კლინიკის ხელმძღვანელობას, ისინი ნებისმიერ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს წარნმოადგენენ. ამდენად, უფრო საინტერესოა იმ ადამიანების აზრი, ვინც სტუდენტებსაც ასწავლიან, პაციენტებსაც კურნავენ და რექტორის ან დირექტორის საკარძელს არ უმიზნებენ. ამიტომ დავითანხმეთ ინტერვიუზე პროფესორი **გიორგი ქავთარაძე**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის N1 დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

- "ვითვალისწინებ რა თქვენს მაღალ პროფესიონალიზმს, ფართო ერუდიციას და პიროვნულ თვისებებს, მიზანშეწონილად ვთვლი, მოგახსენოთ ჩემი პოზიცია სამედიცინო განათლების სისტემაში საუნივერსიტეტო საავადმყოფოს როლისა და ადგილის შესახებ, მით უფრო, რომ მაქვს ამ დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება", - ასე იწყება თქვენი წერილი, რომელიც ერთი წლის ოთარ თოიძეს გადაეცით. ვფიქრობ, ამის მიზეზი გქონდათ...

- მიზეზი ისაა, რომ ჩვენს საავადმყოფოს, რომელსაც ხალხი "რესპუბლიკურ საავადმყოფოდ" მოიხსენიებს, მხოლოდ ჰქვია საუნივერსიტეტო კლინიკა, თუმცა სინამდვილეში ეს ასე არ არის. კლინიკა არის სამედიცინო დაწესებულება, სადაც სამკურნალო საქმიანიბის გარდა, სამეცნიერო და სასწავლო პროცესიც მიმდინარეობს. ამიტომაა, რომ ამ დაწესებულებას ორი პატრონი ჰყავდა - განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროები. ჯანდაცვის ხაზით ქალაქის ექიმები მუშაობდნენ, სამედიცინო უნივერსიტეტის ხაზით - მათივე კათედრების თანამშრომლები, რომელთაც კლინიკაში წამყვანი თანამდებობები ეკავათ. კათედრის გამგე ამავდროულად იყო იმ კლინიკის ხელმძღვანელიც, რომელსაც ეს კათედრა კურირებდა. ეს სისტემა, რომელიც კომუნისტების დროს მოქმედებდა, გამართლებულია იმით, რომ კლინიკური მედიცინა არ არის მეცნიერების ისეთი დარგი, როდესაც პედაგოგი დაფასთან დგას და მხოლოდ თეორიული ცოდნის გადაცემას სჯერდება. სამწუხაროდ, დღეს მედიცინა ბიზნესთანაა გაიგივებული - არადა, ჰიპოკრატეს ფიცი, რომელსაც ყველა ექიმი დებს, სულ სხვას გვეუბნება. ბიზნესის დარგი შეიძლება იყოს, მაგალითად, პლასტიკური ქირურგია, ანუ მედიცინის ის სფერო, რომელიც მხოლოდ ესთეტიკურ მხარეს ეხება და არა - ადამიანის სიცოცხლეს. ჩვენთან მედიცინა კონკურენტული გარემოს შექმნაზეა ორიენტირებული, რის გამოც სამედიცინო უნივერსიტეტის პედაგოგები, განსაკუთრებით თერაპიულ დისციპლინაში, სამკურნალო საქმიანობას ჩამოშორდნენ.

- მაგრამ ხომ დარჩნენ კვალიფიციური ექიმები, რომლებიც სხვადასხვა კლინიკებში მუშაობენ?

- კერძო კლინიკები და, მით უფრო, იქაური პაციენტები, არ არიან დაინტერესებულნი, რომ სტუდენტების ცნობისმოყვარეობის საგანი გახდნენ. კერძო სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტი სოლიდურ თანხას იხდის და იქნებ არ უნდა, სტუდენტმა რომ გასინჯოს?! მთავარი პრობლემა ისაა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვერა და ვერ შევთანხმდით, როგორი უნდა იყოს საუნივერსიტეტო კლინიკა. დავიწყოთ იმით, რომ დღემდე არ არსებობს კანონი ან რაიმე სხვა ნორმატიული აქტი საუნივერსიტეტო კლინიკის შესახებ. კანონის მიღება კი იმიტომაა აუცილებელი, რომ ჩვენი საავადმყოფო კერძო პირის ხელში არ აღმოჩნდეს. მასზე სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, აქ უნდა ასწავლიდნენ სამედიცინო უნივერსიტეტის მასწავლებლები, ჩვენთან უნდა მოქმედებდეს ყველა სახელმწიფო პროგრამა, მათ შორის - უმწეოებისთვისაც. როცა ეს ყველაფერი ამოქმედდება, საუნივერსიტეტო კლინიკას ძველებურად მოაკითხავენ, უნივერსიტეტის პედაგოგები პაციენტებს დაუბრუნდებიან და სტუდენტებიც კვალიფიციურ ექიმებად ჩამოყალიბდებიან. საუნივერსიტეტო კლინიკას აქვს მეორე მხარეც, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი: ჩვენთან არ არსებობს ჩემი ავადმყოფი და სხვისი ავადმყოფი. აქ ყველა პაციენტი არის საყოველთაო, ერთობლივი განხილვის საგანი; იმართება კონსილიუმები, იწერება მოხსენებები და ასე შემდეგ. როდესაც ჯანმრთელობა არის ბჭობისა და ანალიზის საგანი, ბუნებრივია, პაციენტს გამოჯანმრთელების ბევრად დიდი შანსი აქვს. ამიტომაა, რომ საუნივერსიტეტო კლინიკების დონე ყველგან უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივი კლინიკების. თუ ჩვენ არ ვიზრუნებთ ამ პრობლემებზე, დაახლოებით ათ წელიწადში ექიმებს ვეღარ გავზრდით, რაც ავტომატურად დაწევს სამედიცინო მეცნიერების დონეს - სადაც არ არის მეცნიერება, იქ არ არის განათლება და პირიქით. ასე რომ, თუ ადრე ქართველი ექიმები ალჟირში მიდიოდნენ სამუშაოდ, მალე ალჟირელები ჩამოვლენ ჩვენთანს.

- რა რეაგირება აქვთ ამ ყველაფერზე, ერთი მხრივ, ჯანდაცვის და, მეორე მხრივ, განათლების სამინისტროებს?

- ჯანდაცვის მინისტრი ამ პრობლემით დაინტერესებულია, მაგრამ კეთდება თუ არა რამე ჩვენს სასიკეთოდ, ამაზე ვერაფერს გეტყვით. გასაგებია, რომ დღეს არ გვჭირდება იმდენი საუნივერსიტეტო კლინიკა, რამდენიც ადრე გვქონდა - ლამის ყველა საავადმწოფოს საუნივერსიტეტო კლინიკის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. მაგრამ ერთი ხომ უნდა არსებობდეს? და თუ ის ერთი კლინიკა ჩვენი საავადმყოფოა, სასწრაფოდ უნდა მოხდეს აქაურობის რეაბილიტაცია. ბოლოს და ბოლოს სირცხვილია, შეიძლება აქაურობას სამედიცინო დაწესებულება ერქვას?

- თქვენ აღნიშნეთ, რომ საუნივერსიტეტო კლინიკის პრობლემა საკანონმდებლო დონეზე უნდა გადაწყდეს. თავად კლინიკის ხელმძღვანელობა რატომ არ არის დაინტერესებული, რომ პარლამენტს შესაბამისი კანონის მიღების ინიცირებით მიმართოს?

- ამ კითხვას მე ნუ მისვამთ, თუმცა ვიცი, რომ კლინიკის გენერალური დირექტორი (ნიკოლოზ ყიფშიძე) ამ პრობლემის მოგვარებას ცდილობს. ჩემი აზრით, როცა კანონის ინიცირებაზე ვლაპარაკობთ, ეს უფრო ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივაა, ვიდრე განათლების. კარგად მახსოვს ახლადდანიშნული ალექსანდრე კვიტაშვილის სიტყვები. მან თქვა: საუნივერსიტეტო კლინიკა თუ არ გვექნება, ქვეყანაში სამედიცინო სფერო დაინგრევაო. მე თუ მკითხავთ, საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი უნდა იყოს სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატის წევრი, ხოლო პედაგოგები, რომლებიც აქ ექიმებად იმუშავებენ, ხელფასს უნდა იღებდნენ სამედიცინო უნივერსიტეტიდან, როგორც სამკურნალო, ისე პედაგოგიური საქმიანიობისთვის. რაც შეეხება განათლების სამინისტროს მარალჩინოსნებს, მათ ადგილას რომ ვიყო, ერთხელ მაინც მივიდოდი საუნივერსიტეტო კლინიკებში. სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში განათლების არც ერთი მინისტრი აქ არ გვინახავს.

- 30 ივნისს სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, რომლის წევრი თქვენც ბრძანდებით, ახალ რექტორს აირჩევს. რა კითხვებს დაუსვამთ რექტორობის პრეტენდენტებს?

- საბჭოზე მე აუცილებად ვაპირებ დავსვა შეკითხვა, როგორ აპირებენ ისინი კლინიკების პაკითხის მოგვარებას. იმედი მაქვს, მიპასუხებენ. ისე კი, ამხელა სავადმყოფო მართლა არ გვჭირდება - გნებავთ, ჰორიზინტალურად გაყონ შუაზე, გნებავთ - ვერტიკალურად. ნახევარი შენობის გასხვისებით ამოღებული თანხა აქურობის გარემონტებას ნამდვილად ეყოფა.

P.S. ჩვენი "დიალოგი" ჯანდაცვის მინისტრთან სამედიცინო უნიერსიტეტში შედგა. იმ დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და ოლბანის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც წარჩინებულ სტუდენტებს მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში სწავლის უფლებას აძლევს. მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენაა, მაგრამ ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კითხვა, რომელსაც ბევრი სვამს: სად და როგორ უნდა დაოსტატდეს ქართველი სტუდენტი იმ დონემდე მაინც, რომ ოკეანის გაღმა გააგრძელოს სწავლა? იქ კი, შორეულ ამერიკაში, ერთი პოპულარული სერიალის პერსონაჟი დოქტორი ჰაუსი მეგულება - კაცი, ახირებული და მაკვარანცხი, რომელიც ნიჭიერ სტუდენტებს დაბადების დღეს აწყევლინებს, მაგრამ ვინც უძლებს, პროფესიანალი ხდება. სერიალების ყურება და, მით უფრო, იქ მოხმობილი ამბების დაჯერება მთლად კარგი არ უნდა იყოს, მაგრამ "საპნის ოპერებსაც" შეუძლიათ სარგებლობის მოტანა: ბანალური, სასტიკი თუ სასაცილო სცენების მიღმა კარგად ჩანს ის სოციუმი, სადაც ესა თუ ის ეპიზოდი ვითარდება. ასე რომ, მე გავაგრძელებ ამ სერიალის ყურებას და ვიოცნებებ, რომ ოდესმე აქაც გაჩნდება ისეთი საუნივერსიტეტო კლინიკა, სადაც საუკეთესო დოქტორები მორჩილ სტუდენტებს ტყავს გააძრობენ.

ქართველი მეღვინეები ერთი ქოლგის ქვეშ უნდა გაერთიანდნენ"

მანანა ვარდიაშვილი

საქართველოს მთავრობამ მეღვინეობის ეროვნული სტრატეგიის შექმნის თაობაზე ჟურნალ The Economist-ში ტენდერი გამოაცხადა და ამით მევენახეობა-მეღვინეობის დარგში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის უუნარობაც აღიარა. ტენდერის პირობებით, რომელიც მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ტარდება, გამარჯვებულმა კომპანიამ ქართული მეღვინეობის განვითარების გეგმა, დარგში ამჟამად არსებული მდგომარეობის ანალიზი და ახალ ბაზრებზე მოქმედების სტრატეგია უნდა წარმოადგინოს. ამ და ქართული ღვინის სხვა საჭირბოროტო საკითხებზე 24 საათი" სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ სამტრესტის" თავმჯდომარე **ვასილ მანაგაძეს** ესაუბრა.

- ტენდერში რომელმა კომპანიამ გაიმარჯვა?

- ტენდერში, რომლის დამკვეთი სოფლის მეურნეობის სამინისტროა და რომელიც მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება, 4 საერთაშორისო კომპანია მონაწილეობდა. გაიმარჯვა ამერიკულმა კომპანია I.O.S. Partner"-მა და ქართული მეღვინეობის სტრატეგიის შექმნაზეც სწორედ ის იმუშავებს. I.O.S. Partner"-ში, ამერიკელებთან ერთად, ფრანგი და იტალიელი სპეციალისტებიც მუშაობენ. მეღვინეობის სტრატეგია როგორც კერძო სექტორის, ისე სახელმწიფოს სამოქმედო გეგმას გულისხმობს. კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში დასახვეწი და გასაუმჯობესებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია.

I.O.S. Partner"-ისგან კომპლექსურ დოკუმენტს ველოდებით. მეღვინეობის სტრატეგიაზე მუშაობა, სავარაუდოდ, ერთ თვეში დასრულდება, მანამდე კი ამერიკული კომპანიის წარმომადგენლები კონსულტაციებს ქართველ ექსპერტებთან გაივლიან.

- I.O.S. Partner"-ის მხრიდან პირველი რეკომენდაციები თუ არსებობს?

- პირველი, რაც მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, არის ის, რომ

ჩვენი მეღვინეები უნდა გაერთიანდნენ. ისეთ დიდ ბაზრებზე, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირი, ჩინეთი ან ამერიკა, ცალკე აღებული ვერც ერთი კომპანია საკუთარი თავის წარმოჩენას ვერ შეძლებს. ამ ბაზრებზე შესვლა ძალიან დიდ სარეკლამო დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ამას ემატება ქვეყნის, ღვინის და ვაზის ჯიშების ცნობადობაც. ღვინის ტრადიციული მომხმარებლისთვის კაბერნე სავინიონი ცნობილი სახელებია, ქართული საფერავისა" და წინანდლის" შესახებ კი მომხმარებელმა არაფერი იცის. ცნობადობის მისაღწევად ქართველი მეღვინეები აუცილებლად ერთი ქოლგის ქვეშ უნდა გაერთიანდნენ. თავის დროზე ეს მეთოდი სამხრეთ აფრიკამ გამოიყენა, რომელმაც ღვინის ექსპორტი 80-იან წლებში დაიწყო. ეს საფრანგეთისა და იტალიის საუკუნოვანი ტრადიციისგან განსხვავებით უახლოესი ისტორიაა. ასე შეიძლება შეიქმნას ქოლგა Georgian Vines"-ის ან ნებისმიერი სხვა სახელწოდებით და მის ქვეშ გაერთიანდნენ კომპანიები, რომლებიც გაერთიანებული ძალისხმევით და სახელმწიფოს დახმარებით ბაზარზე ერთიან სურათს შექმნიან. ვფიქრობთ, რომ უნდა მოხდეს როგორც ადამიანური, ისე ფინანსური რესურსის კონსოლიდაცია. კომპანიებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ამ სფეროში არსებული ძალიან დიდი კონკურენციის გამო ბაზრის ცალკ-ცალკე ათვისება ძალიან გაუჭირდებათ. იმისთვის, რომ მსოფლიო ბაზარზე კუნკურენტუნარიანები ვიყოთ, ყურძნის თვითღირებულება უნდა შემცირდეს. გასულ წელს 1 კგ. მუჯურეთული და ალექსანდროული 3 ლარი ღირდა. ასეთი ძვირი ყურძენი მსოფლიოში არ არსებობს. ჩილელ მეღვინეებს ევროპაში უმაღლესი ხარისხის ღვინო 30 ცენტად ჩამოაქვთ. ყურძნის თვითღირებულების შესამცირებლად მევენახეებიც უნდა გაერთიანდნენ და დიდი ფერმერული მეურნეობები შექმნან.

- ამჟამად როგორია თქვენი სტრატეგია?

- ქართული ღვინის ექსპორტის 70 პროცენტი რუსეთზე მოდიოდა.

ამდენად, რუსულმა ემბარგომ ამ დარგში ძალიან მძიმე მდგომარეობა შექმნა. რუსეთის მიერ დაწესებულმა სანქციებმა იმთავითვე გაცხრილა ის კომპანიები, რომლებიც მხოლოდ რუსეთის ბაზარზე იყვნენ ორიენტირებულნი. დარჩენილ კომპანიებს ახალი ბაზრების ათვისებაში მაქსიმალურად ვეხმარებით. სოფლის მეურნეობის სამინისტრო საერთაშორისო გამოფენებზე ქართული კომპანიების წარდგენას ხელს მაქსიმალურად უწყობს. ასეთი გამოფენები ჩვენს კომპანიებს მნიშვნელოვან კონტაქტებზე გასვლის საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობით იზრდება ქართული ღვინის ცნობადობაც.

ამჟამად თურქეთთან ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებაზე ვმუშაობთ. ეს ხელშეკრულება რატიფიცირებას გადის და მისი გაფორმების შემდეგ დაახლოებით მილიონი ბოთლი ღვინო თურქეთში 70-პროცენტიანი საბაჟო გადასახადის გარეშე შევა. მსგავსი ურთიერთგაგების მემორანდუმი აშშ-სთანაც გაფორმდა, რაც ქართველ მეღვინეებს აშშ-ს ბაზარზე შესვლას გაუმარტივებს. იმისთვის, რომ ამერიკულმა მხარემ ნამდვილი ქართული ღვინოების იდენტიფიცირება მოახდინოს, ხარისხის კონტროლის მექანიზმებიც განიხილება. სამწუხაროდ, ქართული ღვინის ფალსიფიკაციის შემთხვევები აშშ-ს ბაზარზეც ფიქსირდება. გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, აშშ-ს ბაზარს ფალსიფიცირებისგან დაცვის მიზნით ორმხრივად გავაკონტროლებთ. ჩვენთვის სტრატეგიულია დიდი ბრიტანეთის ბაზარი, რადგან ეს ქვეყანა ალკოჰოლური სასმელების ნომერ პირველი იმპორტიორია მსოფლიოში. პრიორიტეტულია ხარისხის კონტროლი. მზად ვართ, რომ ახლანდელი ექსპორტის დონე კიდევ უფრო შემცირდეს, ოღონდ ექსპორტზე ნამდვილად ხარისხიანი ღვინო გავიდეს.

რაც შეეხება ხარისხის კონტროლს: გავამკაცრეთ საკანონმდებლო ბაზა და შევქმენით სადეგუსტაციო კომისია, რომლის დასკვნაც ღვინის ექსპორტზე გასატანად სავალდებულოა. ღვინის ყველა საექსპორტო პარტიაზე ანონიმური ტესტირება ტარდება. ლაბორატორიული შემოწმება ძალიან ბევრ ხარვეზს (მაგალითად, ღვინის ფერი, საცობის გემო) ვერ აფიქსირებს და, ამდენად, ამ კომისიის მუშაობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სადეგუსტაციო კომისიის შემოწმებამ საექსპორტო სიიდან ძალიან ბევრი უხარისხო ღვინო გაცხრილა. ეს ექსპორტზე უარყოფითად აისახა, მაგრამ სჯობს ექსპორტის რეალურ მაჩვენებელზე დავიდეთ და საზღვარგარეთ მხოლოდ და მხოლოდ ხარისხიანი ღვინო გავიტანოთ.

მსოფლიოში ღვინის ჭარბწარმოებაა და, შესაბამისად, ამ სფეროში კონკურენციაც ძალიან მძაფრია. ღვინის რეალიზაციის პრობლემა აქვს საფრანგეთს, ესპანეთს, იტალიას.. ჩილემ, ავსტრალიამ და სამხრეთ აფრიკამ თავიანთი ნაწარმით მეღვინეობის საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქვეყნებიც კი შეავიწროვეს. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ რომელიმე ეს ქვეყანა ჩვენი კონკურენტია. მათთან შედარებით ძალიან ცოტა ღვინოს ვაწარმოებთ. მაგრამ, გვაქვს უნიკალური ვაზის ჯიშები და მათი მეშვეობით მსოფლიო ბაზარზე გარკვეული ნიშის დაკავება მაინც შეიძლება. ამდენად, იმ მეწარმეს, რომელიც ხარისხზეა ორიენტირებული და რეალურ საფასო პოლიტიკას ატარებს, პრობლემები არ ექნება.

- მსოფლიო ბაზარზე რა ნიშის დაკავება შეუძლია ქართულ ღვინოს?

- ჩვენ შეგვიძლია, მსოფლიო ბაზარზე 8-დან 13 დოლარამდე ანუ საშუალო საფასო სეგმენტი დავიკავოთ. გაჩნდა მოთხოვნა ქვევრის ღვინოზე. გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში სახლის მეურნეობის პირობებში, მაგრამ ტექნოლოგიების ყველა წესის დაცვით, ასეთ ღვინოს ამზადებენ. ეს ნამდვილი კახური, ტანინიანი ღვინოა, რომელსაც ხოხბის ცრემლები" ჰქვია და იტალიასა და აშშ-ში წარმატებით იყიდება. ახლა ექსპორტზე 18 000 ბოთლი გაიტანეს. იმდენად მაღალხარისხიანი ღვინოა, რომ მასზე მოთხოვნა არის.

ამ შემთხვევაში ძალიან ბევრია დამოკიდებული თვითონ მეწარმეზე. არიან ისეთი მეწარმეები, რომლებიც დღემდე რუსეთის ბაზრის გახსნას ელიან და სხვა ბაზრების ასათვისებლად არაფერს აკეთებენ. არიან ისეთი კომპანიებიც, რომლებიც რუსეთის ემბარგოს შემდეგ შეიქმნენ და გარკვეულ წარმატებებს უკვე მიაღწიეს. ამ კომპანიებმა რეალობას ალღო აუღეს და ის სწორად გამოიყენეს. ბევრმა კომპანიამ კი ახალი საექსპორტო მიმართულებები მოძებნა: თელიანი ველის" ექსპორტის 30 პროცენტი რუსეთზე მოდიოდა, მაგრამ ამ კომპანიამ ექსპორტის დივერსიფიცირება წარმატებით შეძლო.

- ექსპერტთა მოსაზრებით, ქართველ მეღვინეებს ფასის და ხარისხის სინთეზი არ გამოსდით და ფრანგულ ღვინოებთან შედარებითაც კი ქართული ღვინო ძვირია. როგორი უნდა იყოს ქართველი მეღვინეების საფასო პოლიტიკა?

- აქამდე ჩვენი მეღვინეები რუსეთის ბაზარზე იყვნენ ორიენტირებულნი, სადაც ღვინის ფასს და ხარისხს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. დანარჩენ მსოფლიოში პირიქითაა და იქ ფასის და ხარისხის შესაბამისობა ძალიან დიდ როლს თამაშობს. თუმცა, ყველა ხარისხს თავისი მომხმარებელი ჰყავს. სუპერმარკეტების ქსელში დაბალფასიანი ღვინო იმ მომხმარებელზეა გათვლილი, რომელიც ხარისხში ნაკლებად ერკვევა. სპეციალიზებულ მაღაზიებში კი ფასის და ხარისხის სხვა კომბინაციაა. ამიტომ, ქართული ღვინოებისთვის ფასის და ხარისხის სინთეზის გამონახვა აუცილებელია. თუმცა, ფასის ამპლიტუდაც ძალიან დიდია. არის ქართული ღვინო, რომელიც ლონდონის ცნობილ სუპერმარკეტების ქსელში 12 ფუნტად იყიდება. ეს სუპერფასია. მიუხედავად ამისა, ეს ღვინო ამ ფასად მაინც იყიდება. საფასო პოლიტიკაში არ ვერევით. ვაკონტროლებთ, რომ ღვინო თვითღირებულებაზე ნაკლებად არ გაიყიდოს. როგორც უკვე ავღნიშნე, შარშან 1 კგ. მუჯურეთული და ალექსანდროული 3 ლარი ღირდა. 3-ლარიანი ყურძნისგან 2-ლარიან ღვინოს ვერ დაამზადებ. თვითღირებულების ზემოთ ფასს თვითონ მეწარმე ადგენს. ამ პროცესში სახელმწიფო ვერ ჩაერევა.

- რუსული ემბარგოს შემდეგ ქართული ღვინის გასაღების მთავარი ბაზარი უკრაინა იყო. აისახა თუ არა ამ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისი ღვინის ექსპორტზე?

- ქართულ მეღვინეობას უკრაინის ეკონომიკური კრიზისი შეეხო და ეს ჩვენთვის კატასტროფის ტოლფასი იყო. ამ ქვეყანაში არსებული მაღალი ინფლაციის გამო უკრაინელ იმპორტიორებს უკვე გადაზიდული ღვინოების ანაზღაურებაც უჭირთ. ქართველი მეღვინეები უკრაინაში ღვინის შეტანას ერიდებიან, რადგან იქაური იმპორტიორები არათუ ფულს ვერ აბრუნებენ, არამედ არაპროგნოზირებადი სიტუაციის გამო დავალიანების გადახდის გრაფიკსაც ვერ ადგენენ. შესაბამისად, ქართული ღვინის ექსპორტი უკრაინაში შემცირდა.

- როგორია თქვენი პროგნოზი ყურძნის წლევანდელი მოსავლის შესახებ?

- ზუსტი პროგნოზი ივნისის ბოლოს გვექნება.

15-დღიანი პატიმრობა "მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" პარტიის წევრს

"მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" პარტიის გენერალურ მდივან ეკა ბესელიას ინფორმაციით, მათი ორგანიზაციის წევრ კახა ტერაშვილს 15-დღიანი პატიმრობა შუეფარდეს.

"იმის გამო, რომ ჩვენ კახა ტეროშვილის ადგილსამყოფელი ვერ დავადგინეთ, ვერ მოხერხდა მისი დაცვის მხარით უზრუნველყოფა, ამიტომ მას ადვოკატის გარეშე ადმინისტრაციული სასჯელი შეუფარდეს, რაც თავისუფლების 15 დღით აღკვეთაში გამოიხატა," - განაცხადა ბესელიამ და აქვე განმარტა, რომ მათთვის უცნობია ტერაშვილის დაპატიმრების მოტივი, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილება მათთვის ამ დრომდე მიუწვდომელია.

ამასთან, ბესელიას ინფორმაციით, ტერაშვილი ამჟამად ქალაქის პოლიციის სამმართველოში იმყოფება და მის მონახულებას ადვოკატი აპირებს.

"კახა ტერაშვილთან შევა ადვოკატი და გამოიტანს ინფორმაციას, როგორ არის იგი და რა მოტივით და ბრალდებით დააკავეს," - განმარტა ბესელიამ.

კახა ტერაშვილი მას შემდეგ დააკავეს, რაც მან თავის დაპატიმრებულ ძმას ლევან ტერაშვილს საკვები მიუტანა გორის იზოლატორში. "მოძრაობა ერთიანი საქართველოს" ინფორმაციით, გორიდან მომავალ კახა ტერაშვილს გზად ავტომობილი აედევნა, სერიით zuz-227. თბილისში ჩამოსვლისას კი მას წინ სამი ჯიპი გადაუდგა, საიდანაც გადმოსულმა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა რამდენიმე პიროვნებამ კახა ტერაშვილი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანა.

ჯი-ეიჩ-ენი

მიშა მესხს თავს დაესხნენ

გუშინ თანასწორობის ინსტიტუტის წევრ მიშა მესხს უცნობი პირები თავს დაესხნენ და სცემეს. ინციდენტი ორთაჭალაში, რესტორან "ხეივნის" უკან მოხდა, როდესაც მესხი საკუთარი საცხოვრებელი სახლისკენ მიდიოდა.

როგორც თანასწორობის ინსტიტუტის ერთ-ერთმა ლიდერმა მურმან პატარაიამ განაცხადა, სამოქალქო ტანსაცმელში ჩაცმული თავდამსხმელები შემთხვევის ადგილზე, რამდენიმე ჯიპით მივიდნენ და იარაღის მუქარით, მიშა მესხს მანქანაში ჩაჯდომა და თან გაყოლა მოსთხოვეს.

"თანასწორობის ინსტიტუტის" წარმოამდგენელი მათ მოთხოვნას არ დაემორჩილა და გაიქცა, მაგრამ გზა გადაუღობეს და სასტიკად სცემეს, როცა მანქანაში ძალით ჩასმა დაუპირეს, ამ დროს ხმაურზე მესხის მეზობლები მივიდნენ და მისი დახმარება სცადეს. თავდამსხმელებმა ქალებიც სცემეს, თუმცა, მიშა მესხის წაყვანა საბოლოოდ მაინც ვერ მოახერხეს.

დაზარალებულს ცემისას სერიოზული დაზიანებები არ მიუღია და შესაბამისად მისი საავადმყოფოში გადაყვანა აუცილებელი არ გახდა. თავდამსხმელები, სავარაუდოდ, კუდ-ის, ან სოდ-ის თანამშრომლები იყვნენ და მიგვაჩნია, რომ ეს შემთხვევაც ხელისუფლების მორიგი იერიში იყო," - ამბობს მურმან პატარაია.

მედიანიუსი

დაჩი ცაგურია დაპატიმრებას მეზობლებმა გადაარჩინეს

"მოძრაობა 7 ნოემბრის" წევრი დაჩი ცაგურია დაპატიმრებას მეზობლებმა გადაარჩინეს.

როგორც ცაგურიამ განაცხადა, პატრულმა მოძრაობის წესების დარღვევის გამო იგი საცხოვრებელ სახლთან გააჩერა.

"პატრულმა რომ გამაჩერა, მე და მამაჩემი სახლისკენ მივდიოდით. მოძრაობის წესების დარღვევასა და დაუმორჩილებლობაში დამადანაშაულეს, მაშინ როცა არაფერი დამირღვევია. ვცადე სახალხო დამცველთან დარეკვა, მაგრამ მეც და მამაჩემსაც მობილურები წაგვართვეს, მერე ხელბორკილები მოიმარჯვეს და დაკავება სცადეს, თუმცა მეზობლებმა მომისწრეს და მათ წინააღმდეგობა გაუწიეს. იარაღით მემუქრებოდნენ, მაგრამ ისევ ჩემმა მეზობლებმა არ დაანებეს. პატრულის თანამშრომლებმა ხანშიშესული ხალხი სცემეს, "მაესტროს" გადამღები ჯგუფის გამოჩენის შემდეგ კი გაიქცნენ," - განაცხადა ცაგურიამ.

მისივე თქმით, იგივე განმეორდა კიდევ ერთი აქტივისტის მიშა მესხის სახლთან ორთაჭალაში. ცაგურიას მტკიცებით, ეს უკანასკნელი სამართალდამცველებმა სასტიკედ სცემეს.

პირველი

ნინო ბურჯანაძე მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში

პოლიტიკური პარტია დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე თბილისის საქალაქო სასამართლოში მის მიერ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება.

სარჩელით ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას მოითხოვს. საუბარია პრეზიდენტთან ოპოზიციის ლიდერების შეხვედრაზე, რომლის დეტალები შეხვედრის ერთ-ერთმა დამსწრემ, ოპოზიციის წარმომადგენელმა სალომე ზურაბიშვილმა გაახმაურა.

ზურაბიშვილის ინფორმაციით, შეხვედრაზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ნინო ბურჯანაძე რუსეთიდან ფინანსდება.

როგორც ბურჯანაძის ადვოკატმა გოჩა სვანიძემ განაცხადა, სასამართლო თუ მისი დაცვის ქვეშ მყოფის სარჩელს დააკმაყოფილებს, პრეზიდენტს ბურჯანაძის მისამართით ნათქვამის უარყოფა მოუწევს. ამ დროისათვის არ არის ცნობილი, როდის მიიღებს სასამართლო გადაწყვეტილებას.

მედიანიუსი

განაღმვითი სამუშაოები ზუგდიდში

სერიული აფეთქებების შემდეგ ზუგდიდში განაღმვითი სამუშაოები მიმდინარეობს. უკვე მეორე დღეა ზუგდიდში თავშეყრის ადგილებში კინოლოგების რვა ჯგუფი მუშაობს. ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, სკოლები, თეატრი და რკინიგზის სადგური უკვე შემოწმებულია და საეჭვო არაფერი გამოვლენილა. აღნიშნული სამუშაოები ორ დღეს გასტანს. ზუგდიდის სადგურში მომხდარ აფეთქებებში, წინასწარი ინფორმაციით ტროტილი და პლასტიტი იყო გამოყენებული. 10 ივნისს, გიან ღამით, ზუგდიდის რკინიგზის ცენტრალურ სადგურში პირველი აფეთქება მოხდა, რომლის დროსაც სადგურში მდგარი სატვირთო შემადგენლობის ერთი ვაგონი აფეთქდა. შემთხვევიდან 15 წუთის შემდეგ მეორე აფეთქების ხმა გაისმა. ბომბი ნაგვის ურნაში იყო მოთავსებული. მოგვიანებით პოლიციის შენობასთან "მაზის" მარკის მანქანა აფეთქდა, რომელიც დანაღმული იყო. აფეთქებებს მსხვერპლი არ მოჰყოლია. ერთი ადამიანი მსუბუქი დაზიანებით ზუგდიდის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ აფეთქებები განხორციელებულია მათ მიერ, ვისაც არ სურს, სამეგრელოს რეგიონში მშვიდობა და სტაბილურობა იყოს.

ჯი-ეიჩ-ენი

არასრულწლოვნის გასამართლება ორმაგი მკვლელობისთვის

პენსილვანიის შტატში გახმაურებული საქმის განხილვა მიმდინარეობს, რომელმაც ცოტა ხნის წინ მთელი ამერიკა შეძრა. საუბარია მეხუთე კლასის მოსწავლის მიერ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულზე. ლოურენსის ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებით, 11 წლის ჯორდან ბრაუნს როგორც სრულწლოვანს, ისე გაასამართლებენ. მას სისასტიკით ჩადენილ ორმაგ მკვლელობაში ედება ბრალი. საქმე ისაა, რომ ჯორდან ბრაუნმა 8 თვის ფეხმძიმე დედინაცვალი გამოასალმა სიცოცხლეს.

11 წლის მოსწავლემ დეტექტივები დააბნია

საქმის მასალების მიხედვით, არასრულწლოვანი გამთენიისას დედინაცვლის ოთახში იარაღით შეიპარა და მძინარე ფეხმძიმე ქალს თავის არეში რამდენჯერმე ესროლა. შემდეგ იარაღი დამალა, სკოლის ჩანთა აიღო და მოკლულის 8 წლის შვილთან ერთად სკოლაში წავიდა. ცხედარი მოკლულის ოთხი წლის შვილმა აღმოაჩინა და შეშინებული ეზოში მომუშავე მებაღესთან გაიქცა.

შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს თავდაპირველად აზრადაც არ მოსვლიათ, რომ მკვლელობის ავტორი შეიძლებოდა ოჯახის არასრულწლოვანი წევრი ყოფილიყო. ჯორდან ბრაუნი ჩვენებებს მოწმის სტატუსით დიდი ხნის განმავლობაში იძლეოდა, მოგვიანებით კი გამოძიებამ ეჭვი აიღო მკვლელობაში ჯორდან ბრაუნის მონაწილეობაზე. თუმცა, არასრულწლოვანი დამნაშავე მაქსიმალურად და თანაც საკმაოდ დახვეწილად ცდილობდა, სამართალდამცველებისთვის ეს ეჭვი გაექარწყლებინა. მან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გამომძიებლების დაბნევა ყალბი ჩვენებებით თითქმის შეძლო კიდეც.

ჯორდან ბრაუნი დეტექტივებს უხსნიდა, რომ დედინაცვლის მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე თავისი ოთახის ფანჯრიდან, სახლთან ახლოს, საეჭვო შავი ფურგონი შენიშნა. გამომძიებლებს საკმაოდ დიდი დრო დასჭირდათ იმისთვის, რომ არასრულწლოვნის მიერ განვითარბული ეს ვერსია გამოერიცხათ და სხვა ვერსიას გაჰყოლოდნენ.

ბოლოს, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, მოკლულის შვიდი წლის შვილმა მოულოდნელად განაცხადა, რომ დედის მკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე ჯორდან ბრაუნი იარაღით ხელში დაინახა და გასროლის ხმაც გაიგო.

მკვლელობის ნივთმტკიცება - იარაღი - დეტექტივებმა ჯორდან ბრაუნის საწოლში სწორედ ამის შემდეგ იპოვეს. ჩატარებულმა ბალისტიკულმა ექსპერტიზამ ჯორდან ბრაუნის ტანსაცმელზე ცეცხლსასროლი იარაღიდან გამოვარდნილი კვამლის კვალი აღმოაჩინა.

ამ გახმაურებული მკვლელობის შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში კიდევ ერთხელ გაჩნდა კითხვა - რატომ ხდება ცეცხლსასროლი იარაღი არასრულწლოვნებისთვის უპრობლემოდ ხელმისაწვდომი.

როგორც გაირკვა, ჯორდან ბრაუნს მინიატურული დროებოვიკი, რომლითაც მან მკვლელობა ჩაიდინა, მამამ საშობაოდ აჩუქა.

სასამართლო პროცესზე ჯორდან ბრაუნი დუმილის უფლებით სარგებლობს. გარდა იმისა, რომ ის ჩვენებას არ იძლევა, მხარეების მიერ დასმულ შეკითხვებს არ პასუხობს.

არასრულწლოვანი განსასჯელის მამამ კი მართლმსაჯულებას დაუდასტურა, რომ მისი 11 წლის ვაჟი იარაღს კარგად ხმარობდა. **მე მას სროლაში ვავარჯიშებდი ხოლმე,** - განუცხადა სასამართლოს მოკლულის მეუღლემ და განსასჯელის მამამ.

იქიდან გამომდინარე, რომ 11 წლის ჯორდან ბრაუნს როგორც ზრდასრულ ადამიანს ისე ასამართლებენ, მას საკმაოდ მკაცრი სასჯელი - სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

მეხუთე კლასის მოსწავლის ინტერესების დამცველმა სასამართლო პროცესზე დაადასტურა, რომ მკვლელობა მართლაც ჯორდან ბრაუნის იარაღიდან გასროლით მოხდა, თუმცა ადვოკატი ირწმუნება, რომ არ არსებობს დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები იმისა, რომ მკვლელი მართლაც მისი დაცვის ქვეშ მყოფია.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს დანაშაული ჯორდანს არ ჩაუდენია. ცოტა ხანში წარმოვადგენ მყარ მტკიცებულებებს, რომლებიც ჩემს სიმართლეს დაადასტურებს, - ირწმუნება არასრულწლოვნის ადვოკატი.

გამოძიების ვერსიით, არასრულწლოვანს მკვლელობა წინასწარ ჰქონდა განზრახული და დანაშაულის ჩადენისთვის ემზადებოდა კიდეც. დანაშაულის მიზეზად კი მამის მიმართ გამოხატული ეჭვიანობა სახელდება. **ჯორდან ბრაუნს მუდმივი შიში ჰქონდა, რომ მამა მას ყურადღებას და სითბოს მოაკლებდა,** - ასეთი ვერსია აქვთ გამომძიებლებს, რასაც ბრაუნების ოჯახის ახლობლების, ნათესავებისა და მეზობლების განმარტებებითა და ჩვენებებით ამყარებენ.

ჯორდან ბრაუნს მუდმივად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა დედინაცვალთან. მიუხედავად იმისა, რომ ქალი ყველანაირად ცდილობდა, მეუღლის შვილთან მეგობრული და კარგი ურთიერთობა ჰქონოდა, სამწუხაროდ, ეს მაინც ვერ მოახერხა, - ასეთია ბრაუნების ოჯახის ახლობლების ჩვენებები.

თავშეკავებული დასავლეთი და მღელვარება ირანში

პირველი გვერდიდან

AFP' 2009

საქმე ის არის, რომ მანამდე თავიანთი გამარჯვების შესახებ განაცხადეს როგორც მოქმედმა პრეზიდენტმა, ასევე მუსავიმ. ისინი საკუთარ მონაცემებს ეყრდნობოდნენ. მაჰმუდ აჰმადინეჯადის შეფასებით, არჩევნებმა "თავისუფალ და ჯანსაღ" გარემოში ჩაიარა. მას გამარჯვება მიულოცა ირანის ფაქტობრივმა ხელმძღვანელმა აიათოლა ალი ჰამენეიმ (ის არც არჩევნებამდე მალავდა მოქმედი პრეზიდენტის მხარდაჭერას), მიღებულ შედეგს "ღვთაებრივი შეფასება" უწოდა და ყველას მოუწოდა პრეზიდენტის გარშემო გაერთიანებისკენ.

როგორც მირ-ჰოსეინ მუსავიმ, ასევე კიდევ ორმა ოპოზიციურმა კანდიდატმა - მოხსენ რეზაიმ და მეხდი კარუბიმ - არჩევნების შედეგები ფალსიფიცირებულად გამოაცხადეს. ამ უკანასკნელმა მათ "უკანონო და მიუღებელი" უწოდა. მუსავის აზრით, **"ზოგიერთი ოფიციალური პირის ასეთი საქციელი დაარღვევს ისლამური რესპუბლიკის საფუძველს და ტირანიის დამყარებამდე მიგვიყვანს."** არჩევნების შედეგები ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილისათვისაც არადეკვატური და საეჭვო აღმოჩნდა. მუსავიმ თავის მომხრეებს სიმშვიდისკენ მოუწოდა, მაგრამ ხალხი ამით არ დაწყნარებულა.

შაბათსვე, როგორც კი არჩევნების შედეგები გამოცხადდა, ხალხი ქუჩაში გამოვიდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან შეიკრიბა. ხალხი სკანდირებდა: **"ძირს დიქტატორი!" "აჰმადი! დაანებე ქვეყანას თავი!"** ისინი პოლიციამ ხელკეტების გამოყენებით დაარბია და დაშალა. ამ პროცესში მონაწილეობდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი უშიშროების სამსახურების თანამშრომლებიც. პოლიცია თეირანში მთელი დღის განმავლობაში შლიდა ხალხის ნებისმიერ, მეტ-ნაკლებად მოზრდილ თავყრილობებს. ზოგიერთი რუსული საინფორმაციო საშუალების ცნობით დარბევების დროს სამი ადამიანი დაიღუპა.

ღამე დაიწყო დაპატიმრებები. დაკავებულნი არიან, ძირითადად, მირ-ჰოსეინ მუსავის აქტიური მომხრეები და იმ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც ყოფილ პრემიერ-მინისტრს აქტიურად უჭერდნენ მხარს. დაპატიმრებულთა შორის მოხვდა ექს-პრეზიდენტ ხათამის ძმაც. გუშინდელი დაუზუსტებელი მონაცემებით, 10-მდე პოლიტიკოსი და 100-მდე აქტივისტი დააკავეს. ებრაულ გაზეთ "ჰაარეცის" ცნობით, 13-ში დააკავეს თვით მირ-ჰოსეინ მუსავიც, როცა ის აიათოლა ალი ჰამენეისთან მიემგზავრებოდა, თუმცა ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. მუსავი გუშინ დაკავებული არ იყო, თუმცა მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ქვეყანაში გაითიშა მობილური კავშირი (ძირითადი კომპანია სახელმწიფოს ხელშია) და გარკვეული ხნის განმავლობაში გათიშული იყო რამდენიმე ინტერნეტსაიტიც. ინტერნეტის მომხმარებელთა 90 პროცენტი მუსავის მომხრეა. საერთოდ, მას მხარს უჭერს ახალგაზრდობა, ინტელიგენცია, საშუალო კლასი და ქალების უმრავლესობა. აჰმადინეჯადის ძირითადი დასაყრდენია სოფლის მოსახლეობა და ქალაქის ღარიბთა უბნები, რომლებსაც ცვლილებების ეშინიათ ან სათანადო ინფორმაციის უქონლობის გამო არიან კონსერვატორთა რიგებში.

ირანის არჩევნებსა და მის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე საერთაშორისო რეაქცია გუშინ მეტ-ნაკლებად ზომიერი იყო. თეთრმა სახლმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ყურადღებით აკვირდება მოვლენებს, მათ შორის დარღვევებს. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა იმედი გამოთქვა, რომ არჩევნების შედეგი ხალხის ნებას გამოხატავს. ევროკავშირიც იმედოვნებს, რომ ირანის ახალი ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობით მიუდგება მსოფლიო საზოგადოებასთან თავის ურთერთობას და შეასრულებს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს. უფრო კონკრეტულად, ევროპა ირანისგან ბირთვულ სფეროში უფრო გამჭვირვალე თანამშრომლობას მოელის. ასეთივე ფრთხილი რეაქცია გამოთქვეს რუსეთშიც. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების წარმომადგენელთა განცხადებებში, რაც არ უნდა საკვირველი იყოს - თვით რუსეთშიც კი, სტრიქონებს შორის კარგად ჩანს, რომ ისინი ბოლომდე არ ენდობიან არჩევნების შედეგებს, მაგრამ რადგან ირანზე ზემოქმედებისთვის ძალიან ცოტა ბერკეტი არსებობს, დასავლეთი ცდილობს, ზედმეტად არ გაამწაროს აჰმადინეჯადი, რომელთანაც შეიძლება კიდევ რამდენიმე წელიწადს მოუხდეს ურთიერთობა.

ლეიბორისტების ერაყული ბიხი

მარიკა იაშვილი

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა გადაწყვიტა, ნათელი მოჰფინოს ლეიბორისტების ერთ-ერთ ყველაზე საკამათო ნაბიჯს, რომელიც, 1997 წელს - პარტიის ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე, მათ მიერ დაშვებულ ყველაზე დიდ შეცდომად მიიჩნევა.

გავრცელებული ინფორმაციით, ბრიტანეთის მთავრობის მეთაური 2003 წელს, აშშ-სთან ერთად, ერაყის ომში ქვეყნის ჩართვის გარემოებებსა და მის შედეგებს გამოიძიებს. ამ გამოძიებას უკვე დიდი ხანია, მთელი ბრიტანეთი ელის. ამ გადაწყვეტილებაზე პრემიერის მიერ ოფიციალური განცხადების გაკეთება პარლამენტში სამშაბათისთვის არის დაგეგმილი.

პარტიისა და საკუთარი რეიტინგის ვარდნის პირობებში ბრაუნი ცდილობს პარლამენტარებისა და პარტიის იმ რიგითი წევრების მხარდაჭერის მოპოვებას, რომლებიც 2003 წლის აქციას დღემდე მცდარ და ავანტურისტულ ნაბიჯად მიიჩნევენ. ტონი ბლერის მიერ ექვსი წლის წინათ მიღებულმა გადაწყვეტილებამ როგორც პარტია, ისე მთელი ბრიტანული საზოგადოება ორ ნაწილად - ომის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად დაყო.

მსგავსი გადაწყვეტილებისთვის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის ეჭვი კიდევ უფრო გააძლიერა იმან, რომ სადამ ჰუსეინის მთავრობას მასობრივი განადგურების იარაღი არ აღმოაჩნდა. ოფიციალური ვერსიით, ერაყზე შეიარაღებული თავდასხმის მიზეზი სწორედ მასობრივი განადგურების იარაღი იყო, რომელსაც ბაღდადი ფლობდა. ანალიტიკოსთა აზრით, ამ გარემოებებმა აიძულა 2007 წელს ბრაუნის წინამორბედი ტონი ბლერი, რომ პრემიერის პოსტი დაეტოვებინა.

თუმცა ბრიტანული პრესის ცნობით, ბრიტანულ-ერაყული ომის გამოძიება დახურულ კარს მიღმა იგეგმება, როგორც ეს ბრიტანეთ-არგენტინას შორის 1982 წელს ფოლკლენდის კუნძულებისთვის გამართული ომის გამოძიების დროს მოხდა.

გამოძიების პროცესის გასაიდუმლოების წინააღმდეგ უკვე გამოვიდნენ ერაყში დაღუპულ ჯარისკაცთა ოჯახები და მთელი რიგი პარტიული მოღვაწეები. ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ნიკ კლეგმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროცესი ღია და გახმაურებული არ იქნება, გამოძიებას ბოიკოტს გამოუცხადებს.

"საუბარია სუეცის ომის შემდეგ დაშვებულ ყველაზე დიდ შეცდომაზე საგარეო პოლიტიკაში," - განაცხადა კლეგმა, რომელიც მიიჩნევს, რომ ამ საკითხის შესახებ დოკუმენტებისა და ფაქტების ნებისმიერი მიზეზით დამალვა სამარცხვინო იქნება.

ახალი სანქციები ფხენიანის წინააღმდეგ

მარიკა იაშვილი

გაერო-ს უშიშროების საბჭომ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ახალი მკაცრი სანქციები ერთსულოვნად მიიღო.

ახალი რეზოლუციის შემუშავება ჩრდილოეთ კორეის მიერ ცოტა ხნის წინათ ჩატარებულმა ბირთვული იარაღის გამოცდამ განაპირობა.

მიღებული რეზოლუციის თანახმად, ახალი სანქციები ჩრდილოეთ კორეის ფინანსურ ოპერაციებსა და ჩრდილოეთ კორეული იარაღის ექსპორტს ეხება.

გარდა ამისა, დოკუმენტის თანახმად, ნებადართული იქნება პორტებსა და ღია ზღვაში იმ ჩრდილოეთ კორეული გემების ინსპექციაც, რომლებიც შეიძლება მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად საჭირო მოწყობილობებით იყოს დატვირთული.

რეზოლუცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ოფიციალურ ფხენიანს ბირთვული იარაღისა და ბალისტიკური რაკეტების გამოცდა ეკრძალება.

აშშ-ს წარმომადგენელი ჩრდილოეთ კორეაში სტივენ ბოსვორთი აცხადებს, რომ ვაშინგტონს ჯერ კიდევ აქვს ფხენიანის მხრიდან მომავალი "მზარდი საფრთხის" გამო არსებული კონფლიქტის დიპლომატიურად მოგვარების იმედი.

როგორც სენატში მოსმენის დროს ბოსვორტმა აღნიშნა, ბარაკ ობამას ადმინისტრაცია ჩრდილოეთ კორეასთან პრობლემების მოგვარებას "სერიოზული და ეფექტიანი დიპლომატიის" გზით ამჯობინებს.

გაერო-ს მიერ ახალი სანქციების მიღებას ჩრდილოეთ კორეის მხრიდან უარყოფითი რეაქცია და ახალი მუქარები მოჰყვა.

ოფიციალური ფხენიანის განაცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ სხვა გზას არ დაუტოვებენ, მზად არის, ბირთვული იარაღი "შეუბრალებელი დარტყმების" განსახორციელებლად გამოიყენოს.

ქვეყნის მთავრობის მტკიცებით, ქვეყნის იზოლირების ნებისმიერ მცდელობას "გადამწყვეტი საომარი მოქმედებებით" უპასუხებენ, ხოლო ბლოკადას "საომარ აქტად" განიხილავენ.

ჩრდილოეთ კორეაში ურანის გამდიდრებაზე მუშაობის დაწყებასა და უკვე გამდიდრებული პლუტონიუმის იარაღში გამოყენებაზე საუბრობენ.

მსოფლიოში მიიჩნევენ, რომ ჩრდილოეთ კორეას ექვსი ან რვა ბირთვული იარაღის დასამზადებელად პლუტონიუმის საკმარისი მარაგი აქვს. თუმცა ანალიტიკოსების თქმით, ფხენიანს არ გააჩნია საჭირო ტექნოლოგია ისეთი პატარა ზომის ქობინების წარმოებისთვის, რომლებიც ფრთიან რაკეტებზე განთავსდება.

ჩრდილოთ კორეის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ქვეყნის ბირთვული პროგრამა თავდაცვითი დანიშნულებისაა და აშშ-ს მხრიდან შესაძლო აგრესიის წინააღმდეგ არის მიმართული.

ვაშინგტონი კი თავის მხრივ აცხადებს, რომ ჩრდილოეთ კორეაზე თავდასხმას არ აპირებს და შიშობს, რომ ქვეყანაში დამზადებული ბირთვული ტექნოლოგიები შესაძლოა სხვა ქვეყნებს გადაეცეს.

ჩრდილოეთ კორეის მუქარა, საბრძოლო დანიშნულებით გამოიყენოს თავისი პლუტონიუმის მარაგი, **"პროვოკაციაა, რომელიც ღრმა მწუხარებას იმსახურებს,"** - აცხადებს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი.

მისი თქმით, ამ ნაბაიჯს მთელ მსოფლიოში აკრიტიკებენ და ის კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს ჩრდილოეთ კროეის ხელისუფლების იზოლირებას.

კლინტონმა მკაფიოდ აღნიშნა, რომ ამერიკა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავებულ სანქციებს მიზანშეწონილად და შექმნილ ვითარებაში აუცილებლად მიიჩნევს და შეეცდება, აქტიურად უზრუნველყოს მათი შესრულება. კლინტონის განცხადებით, გაერო-ს გადაწყვეტილება აუცილებლ ბერკეტებს იძლევა ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში **"შესაბამისი ზომების მისაღებად".**

აშშ-ს ადმინისტრაციის განცხადებით, უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ჩრდილოეთ კორეის მხრიდან გადადგმული "მიუღებელი" ნაბიჯების წინააღმდეგ ორგანიზაციის წევრთა ერთსულოვნების დემონსტრაციას წარმოადგენს.

CMYK - 8

სტაბილურობისთვის...
სიმშვიდისთვის...
გარანტირებული
სარგებლისთვის...
მიენდეთ საბანკო ჯგუფს, რომელსაც მსოფლიოში მილიონობით მეანაბრე ენდობა!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

CMYK - 8

CMYK - 9

"მეგობარი" სნიპერი

გახსენი!



თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

თანხის გატანა ბანკ „რესპუბლიკის" ფილიალებიდან - უფასო

ტელ.: (822) 90 90 (90)
მობილურიდან: *90 90
www.republic.ge

CMYK - 9

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "24 ᲡᲐᲐᲗᲘ" ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲘᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ.



ᲥᲐᲚᲐᲛᲐᲜᲘ

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ეთნოგრაფიისა და ახალი ისტორიის კოლექციებში არაერთი მნიშვნელოვანი ექსპონატი გახლავთ დაცული. ამჟამად თქვენი ყურადღება ქართული ფეხსაცმელზე გვინდა შევაჩეროთ, კონკრეტულად კი ქალამანზე.

ქალამანი ფეხსაცმლის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობა იყო საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, ტერმინი ქალამანი უკვე X-XI საუკუნეებში გვხვდება რამდენიმე ქართულ წყაროში, თუმცა სავარაუდოა მისი არსებობა VII-VIII საუკუნეებში და უფრო ადრეულ ეპოქაშიც.

საქართველოში გავრცელებული მრავალფეროვანი ფეხსაცმელებიდან თითოეულს თავისი დანიშნულება ჰქონდა და თავისი მომხმარებელი ჰყავდა. ამ შემთხვევაში, ქალამანი გლეხთა სამუშაო ფეხსაცმელი იყო. უმეტესად ტყავისაგან დამზადებული და როგორც სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, "მობაწრული".

ეთნოგრაფ ი. ნანობაშვილის თქმით, ადრე ტყავის მოქმედ ხელოსანს და ქალამნების მქსოველს "სარაჯი" ეწოდებოდა. თუმცა ამგვარ ფეხსაცმელს მისი მომხმარებელი, ხშირ შემთხვევაში, თვითონ კერავდა.

ქალამანს ერთი შეხედვით ნავის ფორმა აქვს, გვერდებზე საგანგებოდაა დახვრეტილი და მასში გაყრილი ტყავის თასმები მოჭიმვით მაგრდება ფეხზე. საქართველოს სხვადასხვა კუთხეს თავისებური ფორმის ქალამანი ახასიათებდა, დამზადების განსხვავებული წესებითა და სახელწოდებებით. მაგალითად - "ქალაბანი" და "კოხუჯი". ასევე ცნობილია კახური, სვანური, მეგრული და იმერული ქალამნები.

ქალამნების ვარგისიანობა ტყავის ხარისხზე იყო დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ყველას მაღალხარისხიან ტყავზე ხელი არ მიუწვდებოდა, თუმცა ნაკლებად შეძლებული გლეხიც კი თავის ფეხსაცმელს გულმოდგინედ და ლაზათიანად კერავდა.

საქართველოს კლიმატი გლეხს ზამთარ-ზაფხულ განსხვავებულად დამზადებული ქალამნების ტარებას აიძულებდა. თოვლიანი და წვიმიანი ამინდისათვის განკუთვნილი ფეხსაცმელი უფრო გამძლე იყო და მისი ტყავი საგანგებო დამუშავებას მოითხოვდა, განსხვავებით ზაფხულის ქალამნებისაგან. ზამთრის ქალამნები შეიძლებოდა ბეწვგაუცლელიც ყოფილიყო და მასში სითბოსთვის აფენდნენ წმინდა ბალახს, რომელაც თომი ეწოდებოდა. საინტერესოა, რომ სვანეთში ზამთრის ქალამანი "ბანდულის" სახელით იყო ცნობილი და მას უმეტესად კაცები კერავდნენ, ხოლო მრგვალ ანუ ზაფხულის ქალამნებს ქალებიც ამზადებდნენ.

გარდა პრაქტიკული დანიშნულებისა, ქალამნებს რელიგიური თუ საკულტო დატვირთვაც ჰქონდათ. თუმცა ამ მხრივ არა ტყავის, არამედ რკინის ქალამნები იქცევს ყურადღებას. როგორც ეთნოგრაფი ა.გოგიაშვილი მოგვითხრობს, ხალხურ გადმოცემებსა და ზღაპრებში, ხშირად, როცა ესა თუ ის პერსონაჟი შორეულ გზას დაადგება, რკინის ქალამანს იცვამს, რომელიც სავსებით რეალურ ნივთს წარმოადგენს.

ხშირი იყო ამგვარი ფეხსაცმლის საფლავში ჩატანების ფაქტებიც, რაც გარკვეულ ცრურწმენებს უკავშირდებოდა: თითქოს გარდაცვლილ ადამიანს დიდი გზა ჰქონდა გასავლელი და ასეთი გამძლე ქალამნები მას დიდ დახმარებას გაუწევდა.

იყო შემთხვევები, როცა რკინის ფეხსაცმელებს სხვადასხვა თხოვნის (უმეტესად ავადმყოფის გამოჯანმრთელების) ასრულების შემდეგ ეკლესიებსაც სწირავდნენ.

გვანცა არჩვაძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲔᲑᲡ

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲘᲙᲜᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ

გუშინ ოფიციალურად დაიხურა სტუდენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ამირანი , რომელიც 11-14 ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა. მისი ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასევე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

ეს კინოფესტივალი აგრძელებს ტრადიციას, რომელსაც საფუძველი 1978 წელს ჩაეყარა. მან არსებობა გასული საუკუნის 90-იან წლებში შეწყვიტა. 2007 წელს ის კვლავ აღადგინეს და აი, უკვე მესამე წელია, რაც ქართველ და უცხოელ სტუდენტთა ინტერესს იწვევს.

ვიდრე ფესტივალის გამარჯვებულებს გაგაცნობდეთ, აღვნიშნავ, რომ წლევანდელი ამირანი რამდენიმე სიახლით გამოირჩეოდა, კერძოდ: გამოცხადებული იყო ფესტივალის ლოგოს კონკურსი, რომელშიც ალექსანდრე სულიაკოვმა გაიმარჯვა, მოეწყო უნივერსიტეტის ფოტოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა, შედგა პრეზენტაცია პროექტისა უცნობი ქართული კინო . ფესტივალში მონაწილეობდა რვა ბენდი, რომელთა საღამოს თან აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სინთეზი ახლდა და ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ფესტივალის ფარგლებში სტუდენტთა კრეატიულობა მაქსიმალურად წარმოჩინდა.

კინოფესტივალში 10 ქვეყნიდან სულ 41 ფილმი იყო წარმოდგენილი. საქართველოს გარდა მასში მონაწილეობდნენ კონკურსანტები აზერბაიჯანიდან, ბულგარეთიდან, ბოლივიადან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, სლოვაკეთიდან, შრი ლანკადან, უკრაინადან და შვეიცარიიდან. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა რუსტან იბრაგიმბეკოვის კინოსკოლის პრეზენტაცია (ბაქო, აზერბაიჯანი). უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ორგანიზებულ ღონისძიებებზე დასწრება უფასო იყო. ქართველი სტუდენტები ერთმანეთს გულშემატკივრობდნენ. თუმცა, ფესტივალის დასკვნით საღამოზე აღმოჩნდა, რომ გამარჯვებულებად უცხოელები დასახელდნენ.

ამირანის დახურვა ხალხმრავალი აღმოჩნდა. ქართველი მონაწილეების, მათი გულშემატკივრებისა და ორგანიზატორების გარდა, მას საპატიო სტუმრებიც ესწრებოდნენ, ძირითადად, სხვადასხვა ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლები.

ფესტივალის ჟიურის შემადგენლობას რაც შეეხება, მასში შედიოდნენ: ზემფირა ბაბაევა (1990 წელს დაამთავარა ვგიკის უმაღლესი კურსები ფილმის კოსტიუმის დიზაინის განხრით. 2006 წელს იყო ნიუ იორკის დოკუმენტური ფილმების მარგარეტ მოდის საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორი. არის რუსტამ იბრაგიმბეკოვის კინოსკოლის კოორდინატორი), ასიფ რუსტამოვი (2004 წელს დაამთავრა აზერბაიჯანის კულტურისა და ზელოვენბის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გადაღებული აქვს 10-ზე მეტი ფილმი. მონაწილეობდა სხვადასხვა ფესტივალში), ლევან კიტია (1987 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სარეჟისორო ფაკულტეტი. მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია სატელევიზიო სერიალი ყავა და ლუდი), ქეთი ჯაფარიძე (ხელოვნებათმცოდნე, სახვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში და ივანე ჯავახისვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის მრავალი პუბლიკაციისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი).

ჟიურის გადაწყვეტილებით გამარჯვებულები გამოვლინდნენ შემდეგ ნომინაციებში: *საუკეთესო ხმა* - FREQVENE HORPHOGENSE (გერმანია, რეჟ. ონი პო), *საუკეთესო ოპერატორული ნამუშევარი* - შუაში გავლა (ბულგარეთი, რეჟ. დრაგომირ შოლევი), *საუკეთესო რეჟისურა* - 5 წამი (ესპანეთი, რეჟ. ჟან ფრანკო როზე), *ჟიურის სპეციალური პრიზი* - ხეობა (ბულგარეთი, რეჟ. ქრისტინა გროზევა), *საუკეთესო ფილმი* - ზღვის დონიდან 510 მეტრი (შვეიცარია, რეჟ. კერსტინ პოლტე).

დაჯილდოების ცერემონიალზე გაცხადდა, რომ ჟიურის გადაწყვეტილებით სამი დამატებითი, წამახალისებელი დიპლომი გადაეცა ორ ქართულ და ერთ აზერბაიჯანულ ფილმს - რეჟისორ ანი ჟღენტის ნამუშევრისათვის დან მდე , გიგა ლიკლიკაძის - ნიკო - უზნაძის ქ.19 , გუნელ ნაჯაფზადას - კურდღლის სიკვდილი .

ლევან კიტია: - ძალიან კარგია, რომ აღდგა ფესტივალი, რომელიც ჩემი თაობის წარმომადგენლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მისი ჟიურის წევრები ცნობილი რეჟისორები იყვნენ. ტარდებოდა მასტერკლასები, ვეცნობოდით ერთმანეთის ნამუშევრებს, ძირითადად, საბჭოთა კავშირის ქვეყნების წარმომადგენლების. წლევანდელ კონკურსს რაც შეეხება, აქ თვალშისაცემია ქართველი და უცხოელი სტუდენტების ნამუშევრებს შორის განსხვავება, მათი ტექნიკური დონის თვალსაზრისით. ფილმებში წარმოჩენილ თემებთან დაკავშირებით კი, შემიძლია გითხრათ, რომ ნანახმა 60-იან წლებში დამაბრუნა, რადგანაც მათი უმრავლესობა გაუცხოვების პრობლემას ეხება. სწორედ გაუცხოების საკითხი აღმოჩნდა ამ ახალგაზრდებისთვის აქტუალური. მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ გამარჯვებულები ჯიურიმ ერთხმად გამოავლინა, ანუ დიდი კამათი და მსჯელობა იმაზე, თუ ვინ უნდა აგვერჩია, არ ყოფილა. ვფიქრობ, კინოფესტივალი ამირანი მომავალში უფრო მასშტაბური გახდება და დაიხვეწება .

ასიფ რუსტამოვი: - ფესტივალმა საერთო ჯამში კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პოსტ საბჭოთა ქვეყნების წარმომადგენლების ნამუშევრები, ხარისხის თვალსაზრისით, ჩამორჩება ისეთი ქვეყნებისას როგორიცაა გერმანია, შვეიცარია და ა.შ. ადრე ქართული და გნებავთ, აზერბაიჯანული კინო, განვითარების სულ სხვა ეტაპზე იყო და მაყურებელს ძალიან საინტერესო პროდუქციას სთავაზობდა. ახალგაზრდა ქართველი რეჟისორების ფილმები კი ერთმანეთს გავს. მათი ტექნიკური დონეც შედარებით დაბალია, რასაც ობიექტური მიზეზები აქვს. იმისათვის, რომ ხელოვნების ეს დარგი განვითარდეს, ამ ფესტივალის არსებობა აუცილებელია .

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲕᲘᲛ ᲕᲔᲜᲓᲔᲠᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲐᲣᲡ ᲛᲐᲠᲘᲐ ᲑᲠᲐᲜᲓᲐᲣᲔᲠᲡ ᲔᲚᲘᲡ

ᲘᲐ ᲕᲔᲙᲣᲐ

მიმდინარე წელს ამიერკავკასიის ქვეყნები გერმანული კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სხვა სფეროების გაცნობაში გაატარებენ. წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებებისა და პროგრამის სხვა დეტალების შესახებ გერმანიის ელჩმა პატრიცია ფლორიმ, საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის დირექტორმა ვერნერ ვიოლმა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ ისაუბრეს, რასაც გერმანიის დღეების ოფიციალური გახსნაც მოჰყვა.

საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში გერმანიის დღეები უკვე დაწყებულია, დაინტერესებულ საზოგადოებას კი ჰქონდა საშუალება რამდენიმე ღონისძიებას დასწრებოდა. მათ შორის იყო კავკასიის როკ ფესტივალის ჰედლაინერი ჯგუფის, Dyko-ს კონცერტი, რომელიც ვაკის პარკში მდებარე კლუბ 33 ა-ში ჩატარდა. როგორც ხედავთ, გერმანიის დღეები ნებისმიერი გემოვნებისა და მოთხოვნილებების მქონე ადამიანზეა გათვლილი და თანამედროვე მუსიკიდან კლასიკურ თეატრამდე თითქმის ყველა ჟანრი იქნება წარმოდგენილი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თემას "1989-2009", ისტორიის ეს პატარა მონაკვეთი ერთნაირად მნიშვნელოვანია გერმანიისთვისაც და საქართველოსთვისაც. წელს გერმანია ბერლინის კედლის გაუქმების 20 წლის იუბილეს აღნიშნავს, დაგეგმილია უამრავი ღონისძიება, რის შესახებაც 24 საათმა უკვე გამოაქვეყნა ვრცელი მასალა. 1989 ნელი გადამწყვეტი აღმოჩნდა საქართველოსთვისაც: ეროვნული მოძრაობა განსაკუთრებით გააქტიურდა, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გამუდმებით მიმდინარეობდა საპროტესტო აქციები, რასაც ჯერ 9 აპრილი, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის რღვევა და საქართველოს დამოუკიდებლობა მოჰყვა. სწორედ ამ ოცწლიან შუალედს მიეძღვნება გამოფენა "1989-2009: ცვალებადი სამყარო - დროის ანარეკლი". მასში მონაწილეობენ როგორც ქართველი (ირინა აბჟანდაძე და კოკა რამიშვილი) და გერმანელი, ასევე რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ყაზახი, ტაჯიკი და ყირგიზი ხელოვანები. გარდა ამისა, გოეთეს ინსტიტუტის დაკვეთით სამი ახალგაზრდა ქართველი კინომატოგრაფისტი ამ თემაზე მოკლემეტრაჟიან ფილმებს გადაიღებენ. ასევე დაგეგმილია ლიტერატურული სიმპოზიუმი, რომელშიც ძირითადად ის ავტორები მიიღებენ მონაწილეობას, რომელთა შემოქმედებაშიც ეს პერიოდი განსაკუთრებით აისახა.

გაგაცნობთ 2009 წლის დეკემბრამდე დაგეგმილი პროგრამის რამდენიმე დეტალს:

21-29 სექტემბერს ბათუმში არტ ჰაუსის ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდება, სადაც ფოლკერ შლონდორფის ფილმების რეტროსპექტივაა დაგეგმილი. მანამდე კი, 27 სექტემბერს, თბილისში ცნობილი ოქტობერფესტის ქართული ანალოგი გაიმართება. განსაკუთრებით დატვირთულია ოქტომბერი: 3-ში ბერლინის კედლის დანგრევისადმი მიძღვნილი გამოფენაა დაგეგმილი, 2 ოქტომბერს როკ ჯგუფ Chicks on Speed-ის კონცერტი, ხოლო 8-16 ოქტომბერი თანამედროვე გერმანული ხელოვნების დღეებს დაეთმობა.

ოქტომბერში კინოს მოყვარულებს საკმაოდ საინტერესო პროგრამა ელით - ცნობილი გერმანელი მსახიობის კლაუს მარია ბრანდაუერის ფილმების რეტროსპექტივა. იგი ძირითადად იშტვან საბოს ფილმებში მონაწილეობითაა ცნობილი, ხოლო 1985 წელს სიდნეი პოლაკის ფილმისთვის აფრიკიდან მეორეხარისხოვანი როლისთვის ოსკარზეც იყო ნომინირებული (ამავე როლისთვის მიიღო ოქროს გლობუსი). საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში გამარჯვებული იშტვან საბოს 1981 წლის ფილმისთვის მეფისტო კი კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ჯილდო აქვს მიღებული. კინომოყვარულებისთვის კიდევ ერთი სასიამოვნო მოვლენა მზადდება. თბილისი საერთაშორისო კინოფესტივალზე (დეკემბერში) პროგრამა Made in Germany წარმოგვიდგენს ვინ ვენდერსის ფილმების ჩვენებას, რის დროსაც ამ უდიდესი რეჟისორის სტუმრობაც იგეგმება.

ლენონის ხელნაწერი აუქციონზე

პლაკატი წარწერით - L'Amour Et La Paix ("სიყვარული და სამყარო"), რომელიც 1969 წელს კანადის სასტუმრო Queen Elizabeth-ში გამართულ ჯონ ლენონისა და იოკო ონოს ცნობილი აქციის - "ლოგინი მშვიდობისთვის" (Bed-in for Peace) გაკეთდა, აუქციონზე გაიყიდება. აუქციონი Christie's-ს ორგანიზებით 1 ივლისსაა დაგეგმილი. როგორც მოსალოდნელია, პლაკატი ფრანგულენოვანი წარწერით სულ ცოტა 70 ათას დოლარად გაიყიდება. პლაკატთან ერთად აუქციონზე ფოტოსურათსაც გაიტანენ, რომელზეც ჯონ ლენონი და იოკო ონო შავი მარკერით გაკეთებული წარწერის - L'Amour Et La Paix ფონზე არიან გამოსახულნი.

Christie's-ს აუქციონის წარმომადგენელმა მომავალი აუქციონის შესახებ კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ გასაყიდად წარმოდგენილი პლაკატი, მუსიკოსის "საოცარი პოლიტიკური შეგრძნებების განსახიერებაა. "ლენონს შემთხვევით არ გაუკეთებია წარწერა სწორედ ფრანგულ ენაზე - ასეთი სახით მან რეაგირება მოახდინა იმ არეულობაზე, რომელიც კვებეკში, FLQ-ს (კვებეკის გათავისუფლების ფონდი) ფრანკო-სეპარატისტული გამოსვლის დროს მძვინვარებდა", - განაცხადა აუქციონის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა.

ლენონმა პლაკატი, სლოგანით - L'Amour Et La Paix მწერალს და ანტისაომარი მოძრაობების აქტივისტ ბენ აპფელბაუმს გადასცა, რომელიც წყვილს 1969 წლის 26 მაისიდან 2 ივნისამდე გამართულ აქცია "ლოგინი მშვიდობისთვის" დროს სტუმრობდა. უფრო კონკრეტულად, მუსიკოსმა თავის სტუმარს პლაკატი მაშინ გადასცა, როცა "მწოლიარე მიტინგის" დასრულების შემდეგ ბარგს ალაგებდა. ამ აქციის დროს ლენონმა კომპოზიცია - Give Peace a Chance დაწერა, რომლის ხელნაწერი ტექსტი 2008 წლის ზაფხულში, ლონდონში, Christie's-ს აუქციონზე გაიყიდა. იგი 421 ათას ფუნტად (დაახლოებით 490 ათასი ევრო) შეიძინეს.

ამ დროისთვის მსოფლიოს მუზეუმებში გამოფენები იმართება, რომელიც აქცია "ლოგინი მშვიდობისთვის" გამართვის 40 წლის იუბილეს ეძღვნება. მაგალითად, კანადის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში დამთვალიერებლების ყურადღების ცენტრშია ფოტოსურათების ექსპოზიცია, ასევე ნივთები და საგნები, რომელიც რაღაცით მაინც უკავშირდება აქციას. გარდა ამისა, 26 მაისს ლივერპულში გაიხსნა გამოფენა, სახელწოდებით - Give Peace a Chance, რომელიც ასევე აქციის 40 წლის იუბილეს მიეძღვნა. 12 ივნისს ეს ექსპოზიცია ნიუ იორკშიც იყო წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინ აუქციონზე ჯონ ლენონის მიერ სიმთვრალეში ჩაწერილი ლოიდ პრაისის სიმღერის Just Because-ს ჩანაწერიც გაიტანეს. იგი ლოს-ანჟელესში აუქციონის სახლ Bonhams-ში იყო წარმოდგენილი და 30 ათას დოლარად გაიყიდა. აუქციონის სახლ Bonhams-ის წარმომადგენელ მარგარეტ ბარეტის თქმით, აუდიოჩანაწერი 1973 წლით თარიღდება. "აუდიოჩანაწერი ექვს წუთსა და თექვსმეტ წამს გრძელდება. ჯონ ლენონი მას ნასვამ მდგომარეობაში ასულებს, რის გამოც სიმღერაში საკუთარი იმპროვიზაცია აქვს დამატებული. საერთო ჯამში, ძალიან მხიარული სიმღერა გამოვიდა", - ამბობს ბარეტი. ექსპერტის თქმით, სიმღერა მთავრდება სიტყვებით: "კიდევ ცოტა კოკაინი და მე წესრიგში ვიქნები". ჩანაწერი სტანდარტულ ნარინჯისფერ ცალმხრივ აუდიოკასეტაზეა გაკეთებული. კასეტა კი, რომელიც საზოგადოებისთვის ადრე უცნობი იყო, მის ყოფილ მფლობელს თავად შემსრულებლისგან გადაეცა. აუდიოკასეტის ძველი და ახალი მფლობელის ვინაობა არ სახელდება. ჩანაწერის საწყისი ფასი 40 ათას დოლარს შეადგენდა. აუქციონის ორგანიზატორები მისი ფასის დავარდნის მიზეზს არ ასახელებენ. აღსანიშნავია, რომ Just Because-ის ოფიციალური ვერსია, ჯონ ლენონის 1975 წლის თებერვალში გამოშვებულ სოლო ალბომ Rock 'n' Roll-შია შესული.

Max Payne და ბრაზილია

საკულტო თამაში მესამე ნაწილი ზამთარში გამოვა

ბრაზილია, სან პაულუ. ქალაქის ქუჩებში მარტოხელა შურისმაძიებელი დადის. მისი ცხოვრება დიდი ხანია სიკვდილთანაა დაკავშირებული, თუმცა ის მკვლელი არაა - ცოლისა და შვილის მკვლელების კვალშია ჩამდგარი. ეს მაქს პეინია, ყოფილი პოლიციელი, ოდესღაც ბედნიერი მამა და ქმარი, რომლისთვისაც ცხოვრებას მხოლოდ მაშინ ეძლევა აზრი, როდესაც მორიგ ნაძირალას სიცოცხლეს უსწრაფავს. საკულტო თამაშის მესამე ნაწილი უკვე თითქმის მზადაა, გეიმერები კი მას მიმდინარე წლის ზამთარში მიიღებენ.

თუ თამაშის პირველი ორი ნაწილის მოქმედება ნიუ იორკის ბნელ და ნესტიან ქუჩებში, მაფიის ბოსების სასახლეებსა და მიწისქვეშა კატაკომბებში მიმდინარეობდა, ამჯერად ბებერი მაქსი ბრაზილიის ქალაქ სან პაულუში გადაინაცვლებს. მესამე ნაწილის სიუჟეტი მეორეს დასრულებიდან ათი წლის შემდეგ ვითარდება. შესაბამისად შეცვლილია მთავარი პერსონაჟის გარეგნობაც - იგი გამელოტებული და თითქოს მოტეხილია, მაგრამ როცა საჭიროა, მიზანს არასდროს აცილებს. გარდა ამისა, ირკვევა, რომ მაქსი ტკივილგამაყუჩებლებზეა დამოკიდებული, რადგან წლების განმავლობაში მიღებული ჭრილობები ხშირად ახსენებენ თავს. მოთამაშეს კი პერსონაჟისთვის პრეპარატის მიწოდებაც დაევალება.

ახალი თამაში RAGE-ს სათამაშო პროცესზეა აგებული. სწორედ ეს სისტემაა გამოყენებული Grand Theft Auto IV-ში, რაც ნიშნავს, რომ პერსონაჟს და თავად თამაშსაც პრაქტიკულად შეუზღუდავი ფუნქციები აქვს. ინფორმაციის თანახმად, თამაშში კვლავ იქნება გამოყენებული ე.წ. სისტემა Bullet Time, რაც მაქს პეინს დროის შენელების საშუალებას აძლევს.

როგორც გითხარით, თამაშისას პერსონაჟის მართვა შეუზღუდავია, რაც გულისხმობს, რომ შეგეძლებათ კედელს ამოეფაროთ, ჩაიკუზოთ, გადაახტეთ წინაღობას ან სულაც მოწინააღმდეგე მძევლად აიყვანოთ (ანუ ცოცხალ ფარად გამოიყენოთ). ცვლილებაა გარემოს მხრივაც. თუ აქამდე მაქსი მხოლოდ ღამის ქუჩებში ხეტიალობდა, ახლა უკვე დღის შუქზეც შეეძლება გამოსვლა. ალბათ ზედმეტია იმის თქმა, რომ თამაშს მრავალმომხმარებლიანი რეჟიმიც ექნება - ეს ყველა თანამედროვე თამაშის აუცილებელი ატრიბუტია.

მაქს პეინ 3 კომპანია Rockstar Vancouver-მა ორიოდე თვის წინ დააანონსა, რაც თამაშის თაყვანისმცემელთათვის ნამდვილად სიურპრიზი იყო, რადგან ამ სევდიანი ისტორიის გაგრძელებაზე აღარავინ ფიქრობდა. სწორედ მაშინ გახდა ცნობილი, რომ თამაში ერთდროულად გამოვა პერსონალური კომპიუტერისთვის, PlayStation 3-სა და Xbox 360-სთვის.

შეგახსენებთ, რომ მესამე პერსონის შუტერის პირველი ნაწილი 2001 წელს გამოვიდა და მაშინვე იქცა ბესტსელერად. აქ მიზეზი მარტივია - მომხმარებელს გეიმპლეისა და სთორის გარდა ძალიან მოეწონა თითქოს გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩენილი პერსონაჟიც, რომელიც საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად სიკვდილზეცაა წამსვლელი. მისი ტანჯვა 2003 წელს გამოსულ ნაწილშიც გაგრძელდა. ამჯერად იგი მარტო აღარაა, მის გვერდით მშვენიერი მონაა, რომელთანაც სასიყვარულო ისტორიის გარდა საერთო საქმეც აკავშირებს. გამოჩნდება თუ არა კიდევ ერთი პერსონაჟი მესამე ნაწილში, ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

წლის ლიტერატურულ პრემია საბას ნომინანტების გამოქვეყნების შემდეგ წლის საუკეთესო პოეტური კრებულის ნომინაციაში შესულმა გივი ალხაზიშვილმა (იგი წარდგენილი იყო კრებულისთვის ქორონიკონი 2007) საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. გთავაზობთ მისი განცხადების ტექსტს.

ლიტერატურული პრემია "საბა"-ს ორგანიზატორებს და ჟიურის
გივი ალხაზიშვილის

განცხადება

დიდი პატივია ჩემთვის "საბა"-ს წლევანდელ კონკურსზე ვიყო პოეზიაში ერთ-ერთი ფინალისტი.

გულწრფელად ვფიქრობ, რომ სხვა მონაწილეებს გავუხსნა გზა და უარი ვთქვა ე.წ. "ბრძოლის" გაგრძელებაზე.

ეს გადაწყვეტილება ერთადერთ სურვილს ეყრდნობა, ასპარეზი დავუთმო სხვებს, ჩემზე ახალგაზრდებს, ვისთვისაც არ არის სულერთი ლიტერატურული კონკურსის შედეგები და ვისაც ჯერ კიდევ შეუძლია იყოს წახალისებით ფრთაშესხმული.

აღნიშნული მიზეზის გამო გთხოვთ მოხსნათ კონკურსიდან ჩემი კანდიდატურა და საკონკურსო წიგნი.

პატივისცემით გივი ალხაზიშვილი

ნომინაცია წლის საუკეთესო პროზაული კრებული
1. გურამ მეგრელიშვილი, **მრავალჯერადი ბოთლები** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. მაკა მიქელაძე, **წეროს ჯვარი** (სიესტა)
3. გიგი სულაკაური, **თამაში რევოლვერით** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. არჩილ ქიქოძე, **მყუდრო** (საარი)
5. გელა ჩქვანავა, **დაუმთავრებელი ამბავი** (დიოგენე)

ნომინაცია წლის საუკეთესო პოეტური კრებული
1. დალილა ბედიანიძე, **ფიქრდიდობა** (სიესტა)
2. ბათუ დანელია, **MIRABILIS VITA** (ინოვაცია)
3. გიორგი ზანგური, **წიგნი** (შემეცნება)
4. გიორგი მირზაშვილი, **ლექსები** (სიესტა)
5. მაკა მიქელაძე, **ბარათი** (სიესტა)
6. ჯუანშერ ტიკარაძე, **უკუქცევა** (დიოგენე)
7. ნიკა ჯორჯანელი, **სუნთქვა ხუთვისას** (დიოგენე)
8. ტარიელ ხარხელაური, **მინდვრის ფსალმუნები** (ეროვნული მწერლობა)

ნომინაცია წლის საუკეთესო რომანი
1. ლაშა ბუღაძე, **კარიკატურისტი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. თეონა დოლენჯაშვილი, **მემფისი** (სიესტა)
3. აკა მორჩილაძე, **მესაიდუმლის ქამარი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. გურამ ოდიშარია, **პრეზიდენტის კატა** (უნივერსალი)
5. დათო ტურაშვილი, **ჯინსების თაობა** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
6. დავით ქართველიშვილი, **ახალი წიგნი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
7. დათო ჩიხლაძე, **ფემინინე** (სიესტა)
8. თამაზ ჭილაძე, **ბრეიგელის მთვარე** (პეგასი)

ნომინაცია წლის საუკეთესო პიესა
1. ლაშა ბუღაძე, **ნაფტალინი** (წიგნის სახელოსნო)
2. ირაკლი სამსონაძე, **ყოფილების სარეცელი** (ჟურნ. "ჭოროხი", N5, 2008)
3. ბასა ჯანიკაშვილი, **სულიკო** (სიესტა)

ნომინაცია წლის საუკეთესო თარგმანი
1. მაია ბადრიძე, რობერტ მუზილის **"უთვისებო კაცი"** (დიოგენე)
2. მანანა გიგინეიშვილი, **დიდება შენდა** (პეგასი)
3. გიორგი ეკიზაშვილი, მოლიერის **"დონ ჟუანი"** (აგორა)
4. მაგალი თოდუა, **სპარსული პოეზიის შედევრები** (უნივერსალი)
5. დავით კახაბერი, ანდრე ჟიდის **"ყალბი ფულის მჭრელები"** (ინტელექტი)
6. ასმათ ლეკიაშვილი, ემილი ბრონტეს **"ქარიშხლიანი უღელტეხილი"** (არეტე)
7. ირმა რატიანი, **100 უძველესი იაპონური ლექსი** (სიესტა)
8. გიორგი ქაჯაია, გალიუს სალუსტიუს კრისპუსის **"თხზულებები"** (ლოგოსი)
9. თეა შურღაია და მზია ბურჯანაძე, თანამედროვე სპარსული პროზა **"14 სევდიანი ამბავი"** (უნივერსალი)
10. ზაზა ჭილაძე, კენ კიზის **"გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა"** (დიოგენე)
11. ირაკლი ჯავახაძე, სერგეი დოვლატოვის **"ჩემოდანი"** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
12. პაატა ჯავახიშვილი, მილან კუნდერას **"გამოსათხოვარი ვალსი"** (დიოგენე)

ნომინაცია წლის საუკეთესო კრიტიკა, ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა
1. ლევან ბრეგაძე, **მოთხრობები ლიტერატურაზე** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. რეზო ესაძე, **ბიალონი - კინორეჟისურის შესახებ** (კენტავრი)
3. გოგი ხორნაული, **ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი** (ეროვნული მწერლობა)
4. რევაზ გაჩეჩილაძე, **ახლო აღმოსავლეთი, სივრცე, ხალხი და პოლიტიკა**
5. ზაზა ფირალიშვილი, **ფრაგმენტული მედიტაციები იერონიმუს ბოსხის მხატვრობის შესახებ** (კავკასიის საზ. სტრატეგიათა ინსტიტუტი)
6. ლამარა კიკილაშვილი, **სახსოვარი** (თეთრი გიორგი)
7. გიორგი ლობჟანიძე, **მუჰამედის ცხოვრება** (კავკასიური სახლი)

ნომინაცია წლის საუკეთესო დებიუტი
1. დიანა ანფიმიადი, **შოკოლადი** (სიესტა)
2. ხათუნა თავდგირიძე, **Homo Totus** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. ნიკა თევზაძე, **დეტექტივის თავგადასავალი** (ზეკარი)
4. ლევან კავლელი, **ინდოჩინეთი** (სიესტა)
5. გიორგი კეკელიძე, **ოდები** (სიესტა)
6. ლადო კილასონია, **ღობე** (საარი)

ქართული საგუნდო მუსიკის კლასიკოსი



ალბათ, გამიჭირდება იმის თქმა, რომ იოსებ კეჭაყმაძის შემოქმედებას თანამედროვე ქართული საზოგადოება ჯეროვნად იცნობს. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, თუმცა პირველი და მთავარი, რომლის შემდეგ დანარჩენი მიზეზების რკვევას აზრი აღარ აქვს, თავად კომპოზიტორის ნებასთანაა დაკავშირებული - რაც გნებავთ, დაარქვით: განსაკუთრებული მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი თუ, უბრალოდ, ახირება. ასეა თუ ისე, საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის იოსებ კეჭაყმაძე ზაქარია ფალიაშვილის მუსიკიდან საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შემქმნელია, მუსიკოსებისა და მუსიკისმოყვარულებისათვის კი - ქართული საგუნდო მუსიკის ცოცხალი კლასიკოსი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენი პროფესიული საგუნდო მუსიკის საერთაშორისო აღიარება.

პარადოქსია: გამოცემული არ არის რუსთაველისა და ფალიაშვილის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი კომპოზიტორის არც ერთი ნაწარმოები, თუმცა მას მთელი ცხოვრების მანძილზე საქართველოს კულტურის სამინისტროში ხელმღვანელი თანამდებობა ეკავა და წლების განმავლობაში იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მუსიკალური ფონდის საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე. სწორედ ამ პარადოქსს ვუწოდებ მე ახირებას, რადგან გამიჭირდება თუნდაც ერთი კომპოზიტორის დასახელება, რომელსაც ჰქონია შესაძლებლობა და ნებაყოფლობით უარი უთქვამს საკუთარი ნაწარმოებების გავრცელებაზე, მით უფრო, როცა ამისათვის საფუძველს არა ფორმალური, არამედ რეალური საზოგადოებრივი დაკვეთა იძლეოდა: 1970-იანი წლების II ნახევრიდან კეჭაყმაძის ნაწარმოებების ნოტებს ითხოვდნენ არა მარტო საქართველოს, არამედ მაშინდელი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის, ხოლო 1980-იანი წლებიდან თითქმის მთელი ევროპის საგუნდო კოლექტივები, რომელთაც შესაძლებლობა ჰქონდათ საქართველოს სახელმწიფო კაპელის (ხელმძღვანელი გივი მუნჯიშვილი), თბილისის კონსერვატორიის და, განსაკუთრებით, გორის ქალთა კამერული გუნდების შესრულებით (ხელმძღვანელი შალვა მოსიძე) საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ ერთხელ მაინც მოესმინათ იოსებ კეჭაყმაძის თუნდაც ერთი საგუნდო ოპუსი.

ადვილია ამაში დააჯერო ის, ვინც კეჭაყმაძის მუსიკას იცნობს. . .

იოსებ კეჭაყმაძე თავს, სავსებით მართებულად, სულხანიშვილის საქმის გამგრძელებლად მიიჩნევს. იგი ხშირად ამბობს, ამ კომპოზიტორის რამდენიმე გუნდიც საკმარისია მისი გენიალობის დასტურადო. კლასიკოსების შემდეგ ქართულმა მუსიკამ დიდი გზა განვლო, საგუნდო ჟანრიც გამდიდრდა სხვადასხვა თაობის კომპოზიტორების არა ერთი ოპუსით და, მაინც, მხოლოდ კეჭაყმაძემ შესძლო საგუნდო მუსიკაში შეექმნა თანამედროვე სამყაროს ისეთი უნივერსალური ბგერადი სურათი, რომელიც ერთდროულად ინდივიდუალურს, ეროვნულსა და ზოგადკაცობრიულს აირეკლავს. ამიტომაა ასე ძლიერი მისი მუსიკის ზემოქმედება სხვადასხვა დროის ნებისმიერ აუდიტორიაზე - მე მქონდა ბედნიერება, 1980-იანი წლებიდან მენახა კეჭაყმაძის საგუნდო შედევრებით (!) გაოგნებული მსმენელი უნგრეთში, გერმანიაში, ესტონეთში, რუსეთში, ახალი საუკუნის დასაწყისში - ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომ არაფერი ვთქვათ ქართველი მსმენელის რეაქციაზე, რომლითაც იგი ხვდება მის საგუნდო ოპუსებს გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან.

იოსებ კეჭაყმაძის ახალ საგუნდო სტილში ბევრი რამაა ისეთი, რაც კომპოზიტორს მისგან ნახევარი საუკუნით დაშორებულ ნიკო სულხანიშვილთან აახლოებს - საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ იგი უპირატესობას ა კაპელურ გუნდს ანიჭებს და არც ის, რომ მან თავისი საკომპოზიტორო მოღვაწეობის სფერო მხოლოდ ერთი ჟანრით შემოფარგლა, თუმცა არც ეს გახლავთ უმნიშვნელო ფაქტორი - იგი მხოლოდ საგუნდო ჟღერადობით იფარგლება მაშინაც კი, როცა კინოსა და თეატრისთვის წერს, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის შექმნას ტემბრული პალიტრის მრავალფეროვნებით აღბეჭდილი მონუმენტური საგუნდო მუსიკა ფილმისათვის "არსენა" ან სპექტაკლისათვის "ლამარა"... მის მუსიკაში ეროვნულ-განსაკუთრებულს თანამედროვე იერი აქვს, თუმცა კეჭაყმაძეს პრინციპულად ისეთივე დამოკიდებულება აქვს საგუნდო-პოლიფონიური აზროვნების ძირითად კატეგორიებთან, როგორც სულხანიშვილსა და ფალიაშვილს. მათი მუსიკის მსგავსად, კეჭაყმაძის "მუსიკალურ მატერიაშიც" ეროვნული გენეტიკა შეიგრძნობა, ქართული მრავალხმიანობის სულია გაცოცხლებული; ამიტომაც იგი ავტორის ეროვნულ იდენტობას უფრო გამოხატავს, ვიდრე პიროვნულს.

იოსებ კეჭაყმაძის სტილის ორიგინალობა პირველად 1972 წელს ანა კალანდაძის ლექსებზე შექმნილ შესანიშნავ საგუნდო ციკლში "ფშაური იდილიები" გამოვლინდა. შემდეგი წარმატება კიდევ უფრო ხმაურიანი იყო - "ძველი თბილისის სიმღერებმა" - ხუთი პარაფრაზა შოკისმომგვრელი აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. გამოჩენილი ქართველი მუსიკისმცოდნე გივი ორჯონიკიძე წერდა: კეჭაყმაძის წარმატების მიზეზის მოკლედ ასახსნელად ერთ სიტყვას ავირჩევდი: ნიჭი". ძველი თბილისის სიმღერები" ხელოვნების იმ ბედნიერ ნიმუშთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც ფართო აუდიტორიის სიყვარულს მასთან პირველი შეხვედრისთანავე მოიპოვებენ, განურჩევლად იმისა, ეს აუდიტორია მუსიკოსებისაგან შედგება, თუ მხოლოდ მუსიკის მოყვარულებისაგან".

ძველი თბილისის მუსიკალური ფოლკლორი ცალკე თემაა, მაგრამ აქ ის კი უნდა აღვნიშნო, რომ მისი მომხიბვლელობა კეჭაყმაძის მუსიკის განსაკუთრებულ სურნელში, მის ცოცხალ სახიერებასა და ფერადოვნებაშია, აღმოსავლური ორნამენტული ჰანგის თბილისურ სულისკვეთებაში რომ დევს. პარაფრაზების მოსმენისას თვალწინ ცოცხლდებიან ძველი თბილისის პერსონაჟები, რომლებიც, თითქოს, ძველი ფოტოსურათებიდან გადმოსულან. ამიტომ აღნიშნავდა გივი ორჯონიკიძე, პარაფრაზების" ფერადოვანი ფეერია კოკა იგნატოვის ცნობილ ფრესკას და თბილისის განუმეორებელ პეიზაჟს მაგონებსო, თავისი განუმეორებელი ლანდშაფტითა და განუმეორებელი ადამიანებით.

სხვათა შორის, ძველი თბილისის სახეებისათვის მანამდე არაერთ ქართველ კომპოზიტორს მიუმართავს, თუმცა საგუნდო მუსიკის ჟანრში - არავის, რადგან სოფლური მრავალხმიანობის საპირისპიროდ, ქალაქური ერთხმიანობა ნაკლებად განაწყობდა მათ საგუნდო პარტიტურის შესაქმნელად. კეჭაყმაძე კი სწორედ ერთხმიანი ქალაქური მოტივების მოდიფიკაციის იდეამ გაიტაცა და ამ უბრალო მოტივებიდან დროსა და სივრცეში გაშლილი მუსიკალური დრამატურგია, მრავალფეროვანი შტრიხებითა და ხმების დივიზებით მოქსოვილი რთული პოლიფონიური ტილოები შექმნა. ქართული საგუნდო მუსიკისათვის აქ ახალია ყველაფერი - ინტონაციური და კილო-ჰარმონიული გამომსახველობა, ბგერის შეგრძნების სიფაქიზე და სიმახვილე, სონორული კომპლექსები, პოლიფონიური და ჰეტეროფონული ეფექტები, ჟღერადობის ტესიტურული პოლარიზმი, ბგერწერითი ეპიზოდები, არტიკულაციური ხერხები, სხვადასხვა საკრავის იმიტაცია, ფეხების ბაკუნიცა და სტვენაც. . . ეს აკუსტიკური სამყარო თანამედროვე იყო 1970-იან წლებში და ასეთად რჩება დღესაც, რადგან იგი ისეთ მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას ქმნის, ყავლი რომ არასოდეს გასდის.

ბგერისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, მხატვრულ ამოცანას დამორჩილებული უსაზღვრო გამომგონებლობა და შემოქმედებითი თავისუფლება გამოარჩევს ადრეულ პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებს - პატარა შედევრებს: უსიტყვო ეგზერსისსა" და ქორალს", ციკლებს კალანდაძის ლექსებზე "მთისაი ბარსა" (1978), "დავითიანიდან" გურამიშვილის ლექსებზე (1980) და "ადგილის დედას" ხალხური მითოლოგიური პოეზიიდან. ი.კეჭაყმაძის ღრმად ტრადიციულმა და ამავე დროს უაღრესად ნოვატორულმა აზროვნებამ, საგუნდო წერის მის მიერ შემუშავებულმა ვირტუოზულმა ტექნიკამ გავლენა მოახდინა არა მარტო მომდევნო, არამედ მასზე უფროსი თაობის თანამედროვე კომპოზიტორებზეც.

1978 წლიდან იწყება კეჭყმაძის შემოქმედების მეორე პერიოდი, როცა კომპოზიტორი უპირატესობას სისადავეს ანიჭებს. ამას ხელი შეუწყო საბჭოთა ეპოქისთვის სრულიად უპრეცედენტო თანამშრომლობამ საქართველოს საპატრიარქოსთან, როცა მან საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის დაკვეთით საეკლესიო საგალობლებს მიმართა. ამისათვის ადამიანს მაშინ დიდი გამბედაობა სჭირდებოდა. მე არ მახსენდება სხვა ასეთი აბსურდული ვითარება: კომპოზიტორი, რომელიც იმ დაწესებულების პასუხისმგებელი მუშაკია, საბჭოური კულტურული პოლიტიკის გატარება რომ ევალება, ნახევრადლეგალურად თანამშრომლობს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოსთან. იმ წლებში ეს ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად" კვალიფიცირდებოდა, რაზეც ხელისუფლება თვალს ხუჭავდა, კომპოზიტორის მიერ დროდადრო ოფიციალური დაკვეთის შესრულების საფასურად. მიუხედავად ასეთი ლოიალობისა, არავის შეეძლო, დარწმუნებული ყოფილიყო სრულ უსაფრთხოებაში, ის კი უეჭველი იყო, რომ ხელისუფლებას შეეძლო, საჭიროებისამებრ. ნებისმიერ დროს დაერღვია ეს თავისებური უსიტყვო შეთანხმება".

დღეს აღარ კამათობენ იმაზე, რომ ქართულ ტაძარში ღვთისმსახურებისას კანონიკური საგალობელი უნდა ჟღერდეს. მაგრამ 1970-იანი წლების ბოლოს, როცა ეკლესიისა და საზოგადოებისათვის მიუწვდომელი იყო ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული განძი - რამდენიმე ათასი უძველესი კანონიკური საგალობელი, გაუგებარი წარმომავლობის უსახური მუსიკის ნაცვლად, სიონის საკათედრო ტაძარში ქართველი კომპოზიტორის გულწრფელი რელიგიური განცდით აღბეჭდილი პროფესიული საგალობლები აჟღერდა. სხვაზე უკეთ სწორედ კეჭაყმაძემ უწყოდა, რომ დღეს თვით გენიალური კომპოზიტორის შთაგონებაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ჩვენი სულმნათი წინაპრების მიერ ათასწლეულის უკან შექმნილი ჰიმნების სულიერება ააღორძინო, თუმცა ის კია შესაძლებელი, შეეცადო, გამოხატო თანამედროვე ქართველის რელიგიური სულისკვეთება. ამიტომ თავისი საგალობლები მან მრავალი ნიშნით მიუახლოვა კანონიკურს - წმიდა წიგნებიდან აღებული პროზაული ტექსტი, უთანხლებო გუნდის ქორალური წყობა, დამახასიათებელი ინტონაციური საქცევები, ლაკონიზმი და სისადავე, რომელიც მოულოდნელ ჰარმონიულ თუ ტემბრულ-ფაქტურულ გადართვებში გამოსჭვივის. ვფიქრობ, ახალი ქართული პროფესიული სასულიერო მუსიკის შექმნის კეჭაყმაძისეული გამოცდილება უკვალოდ არ ჩაივლის და მომავალში აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს.

საგალობლების პარალელურად იწყება კეჭაყმაძის გატაცება ილია ჭავჭავაძის პოეზიით, რომელმაც კომპოზიტორი ფილოსოფიური სიღრმითა და აზრის სიმახვილით მიიზიდა. ილიას ლექსებზე მას შექმნილი აქვს 20-ზე მეტი გუნდი, რომლებშიც იგი უარს ამბობს გარეგნულ ეფექტებზე და მთელი ყურადღება მუსიკის შინაგან მოძრაობაზე გადააქვს. ახლა წინა პლანზე გამოდის მუსიკალური აზრის მედიტაციური დინება, კილო-ჰარმონიული ფერადოვნება, ხშირად უცაბედი გამონათების ეფექტს რომ ქმნის.

იოსებ კეჭაყმაძის მოღვაწეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო თბილისის კონსერვატორიასთანაა დაკავშირებული. იგი 27 წელი (1980-2007) ხელმძღვანელობდა საგუნდო სადირიჟორო კათედრას და სასწავლო პროცესში არა ერთ ნოვაციას დაუდო სათავე. კეჭაყმაძის არტისტული ბუნება თავს იჩენდა ყველაფერში, მათ შორის, გამოცდებზეც, რომელთაც იგი განიხილავდა, როგორც შემოქმედებით აქტს, ცოდნასთან ერთად, თავისუფალ აზროვნებასაც რომ მოითხოვს. სტუდენტებთან ურთიერთობა სტიმული გახდა კომპოზიტორისთვისაც, რომელიც ყოველი კურსდამთავრებულისათვის ქმნიდა ახალ ოპუსს, რის გამოც სახელმწიფო გამოცდები ნამდვილი ზეიმი იყო არა მარტო ახალგაზრდებისათვის, არამედ ქართული საგუნდო მუსიკის მოყვარულთათვისაც.

სამწუხაროდ, განახლების ნიშნით ჩატარებულმა რეფორმამ შემოქმედება ობივატელური" ლოგიკით ჩაანაცვლა და იოსებ კეჭაყმაძე კონსერვატორიიდან წავიდა, რამაც მას მიაღებინა გადაწყვეტილება, უარი ეთქვა ახალგაზრდებთან ასეთ თანამშრომლობაზე.

ეს მისი არჩევანია. ჩემი აზრით, იგი ერთნაირად აზარალებს როგორც ახალგაზრდებს, ისე თავად კომპოზიტორს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, იოსებ კეჭაყმაძის საგუნდო შემოქმედება, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა XX საუკუნის II ნახევრის ქართულ მუსიკაში და რომელმაც მთელი მსოფლიო აღაფრთოვანა გორის ქალთა გუნდის მიერ ჩაწერილი კომპაქტ-დისკების მეშვეობით, ყოველთვის დარჩება ჩვენი ეროვნული პროფესიული საგუნდო მუსიკის ისეთივე ეტალონურ ნიმუშად, როგორც სულხანიშვილისა და ფალიაშვილის უკვდავი გუნდები.

რუსუდან წურწუმია

P.S. ამ წერილის მიზეზი იოსებ კეჭაყმაძის საიუბილეო თარიღი გახდა - ამ სამიოდე თვის წინ კომპოზიტორის 70 წელი შეუსრულდა. ცხადია, მას არც იუბილეები უყვარს, მაგრამ მე არ შემეძლო, ამ მოვლენას არ გამოვხმაურებოდი.

სპორტი

"საფეხბურთი ოსკარი" შამპანურის თანხლებით

განსხვავებული "დია" დინამოური ობსტრუქციით

მიხეილ აბაიშვილი

"ქართულ საფეხბურთო ოსკარად" მონათლული "დიას" დაჯილდოების უკვე ტრადიციული, მეხუთე ცერემონიალი წინა ოთხისგან განსხვავდებოდა, რაც, ალბათ, არც უნდა იყოს გასაკვირი. მიზეზთა გამო თავად სეზონიც განსხვავებული გამოდგა. რუსული აგრესიის გამო შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო, რომ მეოცე ეროვნული ჩემპიონატი საერთოდ ჩაშლილიყო. საქმე აქამდე არ მისულა და ეს ტურნირი, ისევე როგორც საქართველოს თასის გათამაშება, ჩატარდა, ოღონდ, თვენახევრით გვიან აიღო სტარტი. ქართულ საფეხბურთო ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა. ისედაც არამყარი მატერიალური მდგომარეობის გამო უმაღლესი ლიგის მთელ რიგ კლუბებში სეზონის მანძილზე კრიზისული ვითარება იყო, რის გამოც ხან ერთი გუნდი აღმოჩნდებოდა გაკოტრების ზღვარზე, ხან - მეორე. თავად უმაღლესი ლიგის გათამაშებაც ნაკლულად, 12-ის ნაცვლად 11 გუნდის მონაწილეობით ჩატარდა. ჩემპიონატს თავისი ნებით გამოაკლდა საქართველოს თასის ზედიზედ ორგზის გამარჯვებული და ბოლო გათამაშების ფინალისტი თბილისის "ამერი". ამ კლუბმა სწორედ ფინანსური პრობლემების გამო გადაინაცვლა ქვედა ლიგაში და, როგორც ჩანს, პირველ ლიგაში წელს მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად, პრობლემები არც წელს მისცემს უმაღლეს ლიგაში დაბრუნების შესაძლებლობას.

გიორგი ლომაია საქართველოს საუკეთესო მეკარე.

ასეთ ვითარებაში ჩაიარა 2008-09 წლების საფეხბურთო სეზონმა. გასაკვირი არ არის, რომ "დიას" დაჯილდოების ცერემონიალმა ნაკლებად პომპეზურად, უფრო საქმიან და სამუშაო ვითარებაში ჩაიარა, ვიდრე წინა დაჯილდოებებმა თუმცა, საღამო შოუს ელემენტების გარეშეც მაინც არ ყოფილა. ცერემონიას ხალისი შემატა მომღერალმა სალომე კორკოტაშვილმა. საფეხბურთო თემაზე შექმნილი სკეტჩი შემოგვთავაზა იუმორისტთა ჯგუფმა "შონზოს" ხელმძღვანელობით. იუმორისტთა ხუმრობები საშემსრულებლო დონით ზუსტად შეესაბამებოდა ქართული საკლუბო ფეხბურთის დონეს.

დავუბრუნდები დაჯილდოების ცერემონიალს, რომელსაც ამჯერად შუშხუნა ღვინის ქარხანა "ბაგრატიონი 1882"-ის საბანკეტო დარბაზმა უმასპინძლა. მიხვდებით, რომ გამარჯვებულების გამოცხადებას არ აკლდა ადეკვატური ატრიბუტიკა - შამპანურით სავსე ბოკლები, რომელიც სტუმრებმა ნომინანტთა სადღეგრძელოების შესმისას დააგემოვნეს.

სტუმართა შორის იყვნენ არა მხოლოდ საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლები. ამიტომ, მეტი რომ არ ვთქვათ, ცოტა მოულოდნელი იყო, რომ თბილისის "დინამომ" იგნორირება გაუკეთა ცერემონიალს. "დინამოს" არც ერთი ფეხბურთელი და არც ხელმძღვანელობა არ მივიდა დაჯილდოებაზე. როგორც ამბობენ, კლუბის ხელმძღვანელებმა ფეხბურთელებს მკაცრად აუკრძალეს "დიას" ცერემონიალზე მისვლა. სამწუხაროდ, საღამომ "დინამოს" გარეშე ჩაიარა, მიუხედავად იმისა, რომ ორ ნომინაციაში სწორედ დინამოელმა გაიმარჯვა.

საუკეთესო მეკარის ჯილდო დაიმსახურა თბილისის "ლოკომოტივისა" და საქართველოს ნაკრების მეკარემ გიორგი ლომაიამ. ამ ჯილდოს მას ზესტაფონელი როინ კვასხვაძე და დინამოელი დიდიე ოვონო ეცილებოდნენ.

დაცვა-ნახევარდაცვაში პირველობა არავის დაუთმეს ჩემპიონის - "ვიტ ჯორჯიას" და ლომაიას მსგავსად, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებმა ალექსანდრე კვახაძემ და ლუკა რაზმაძემ.

მოულოდნელი არ იყო თავდასხმის ხაზში ზესტაფონელი ნიკოლოზ გელაშვილის გამორჩევა, რომელმაც მიმდინარე სეზონში 20 გოლი გაიტანა და სეზონის ბომბარდირის ტიტული მოიპოვა.

წლის აღმოჩენად დასახელდა თბილისის "დინამოს" 18 წლის ნახევარმცველი ვაჟა ნემსაძე.

საუკეთესო ქართველი მწვრთნელის ტიტულს ზედიზედ მეორედ დაეუფლა "ვიტ ჯორჯიას" თავკაცი ნესტორ მუმლაძე, რომელმაც შარშანდელი "ვერცხლი" წლევანდელ "ოქროზე" გადაცვალა.

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად თბილისის "დინამოს" თავდამსხმელი გიორგი მერებაშვილი აღიარეს, სეზონის საუკეთესო ქართველ ფეხბურთელად კი საქართველოს ნაკრების ვიცე-კაპიტანი, გერმანიის" "შალკეს" ქართველი ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი გამოცხადდა. როგორც ვთქვით, მერებაშვილი დარბაზში არ იმყოფებოდა. "დიას" პრიზი პირადად არც სეზონის საუკეთესო ქართველ ფეხბურთელს ლევან კობიაშვილს მიუღია, რომელიც ახლა გერმანიაშია. ჯილდო მის ძმას გადაეცა.

კიდევ ერთი პრიზი, რომელიც სეზონის განმავლობაში საუკეთესო საფეხბურთო პროექტის განხორციელებისთვის იყო დაგეგმილი, ფედერაციის ერთ-ერთმა სპონსორმა, კომპანია "ვისოლმა" მიიღო. ამ კომპანიის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა საფეხბურთო კომპლექს "ვისოლი - ავაზას" ინფრასტრუქტურული რეაბილიტაცია.

"დიას" დაჯილდოების ამ ცერემონიალით საქართველოში ოფიციალურად დასრულდა 2008-09 წლების საფეხბურთო სეზონი.

ვიქტორ სანიკიძე: ჩემი მომავალი კლუბი მალე გაირკვევა

გასული სეზონის დაწყების წინ საქართველოს ნაკრების კალათბურთელი ვიქტორ სანიკიძე უგუნდოდ იყო. არადა,

ევროსაკვალიფიკაციო, B დივიზიონის გათამაშებაში ის საქართველოს ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ. მოგვიანებით ქართველი კალათბურთელი ჩაირიცხა ესტონურ როკში , სადაც მესამე სეზონს ატარებდა გიორგი ცინცაძე. ვიქტორი კარგად ჩაჯდა გუნდის სქემაში და ცინცაძესთან ერთად როკის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. სეზონის ბოლოს კი ესტონეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა მატჩში საშუალოდ ჩაგდებული 16,5 ქულით. სანიკიძე თბილისში გასულ ორშაბათს ჩამოვიდა. მასთან ინტერვიუ საქართველოს კალათბურთის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

სანიკიძე კონტრაქტის მოლოდინშია

- თავდაპირველად ის გვითხარი, როგორ მიგიღეს როკში .

- კარგად. გიორგი ცინცაძის ხათრით, ტარტუში ქართველებს დიდ პატივს სცემენ. მით უმეტეს, მისი მეგობარი რომ ვიყავი, ჩასვლისთანავე შინაურად მთვლიდნენ. მხოლოდ მწვრთნელს ვერ შევეწყვე - ულარ კერდემ უნდობლობა გამომიცხადა და მოედანზე ცოტა ხნით გავყავდი. ის, რომ მწვრთნელი უსამართლოდ მექცეოდა, მხოლოდ ჩემი აზრი არ არის და ის მალევე შეცვალეს. ახალი მწვრთნელი - ინდრეკ ვისნაპუ კეთილგამწყობილი აღმოჩნდა ჩემს მიმართ. მისი დანიშვნის შემდეგ ჩემი საქმე კარგად წავიდა.

- ახალმა მწვრთნელმა ამპლუა შეგიცვალა და ორმაგმა დუბლებმაც იმატა...

- თავიდან სამ ნომერზე მათამაშებდნენ, ხოლო ვისნაპუმ ფარისკენ, 4 ნომერზე ამწია და ჩემმა შედეგიანობამაც საგრძნობლად იმატა. ხშირად ქულებზე მეტ მოხსნებს ვაკეთებდი, რაც გუნდის შედეგებზეც აისახა.

- ყურადღების ცენტრში მალე მოექეცი, რასაც შემდგომში ყველა ვარსკვლავზე ჩატენვების კონკურსის მოგებამაც შეუწყო ხელი...

- როკს უამრავი ერთგული ქომაგი ჰყავს. ფანკლუბის წარმომადგენლებს თამაშებზე ქართული დროშები მოჰქონდათ და ასე გამოხატავდნენ ჩემსა და გიორგის მიმართ მხარდაჭერას. ცინცაძემ გულშემატკივართა საყვარელი მოთამაშის პრიზი დაიმსახურა. ყურადღებას არც პრესა და ტელევიზია გვაკლებდა. ხშირად გვართმევდნენ ინტერვიუებს. რაც შეეხება ჩატენვების კონკურსს, ფინალში ახალგაზრდა ესტონელი დავამარცხე.

- ერთ-ერთ მატჩში ფარიც კი ჩამოამტვრიე...

- არა, არ ჩამომიმტვრევია. ერთ ეპიზოდში, ჩატენვისას, ფარი ჩამოიკეცა. დასაკეცი ფარები რომ არის, ისეთი იყო და დაწოლას ვეღარ გაუძლო. ეს შემთხვევა კალევთან მატჩში მოხდა, რომელთანაც მოგვიანებით ფინალური სერია წავაგეთ.

- მთლიანად სეზონს როგორ შეაფასებ?

- მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონები ვერ გავხდით, მაინც დადებითად შევაფასებ ამ სეზონს. ამის თქმის საფუძველს ბალტიის ლიგაზე მოგებული მესამე ადგილი მაძლევს. ასეთი მაღალი შედეგისთვის ესტონურ კლუბს არ მიუღწევია და თუნდაც ბრინჯაოს მედლების მოპოვება საკმაოდ დაგვიფასდა.

- ფინალურ სერიაზე რას იტყვი, არ იყო მოგების შანსი?

- როგორ არ იყო, უნდა მოგვეგო მეექვსე შეხვედრა, მაგრამ 3 ქულით წავაგეთ. ეს მარცხი რომ არა, მეშვიდე, გადამწყვეტი მატჩი ტარტუში, ჩვენი ქომაგებით სავსე დარბაზში გაიმართებოდა და ალბათ ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებდით, მაგრამ...

- როკთან კონტრაქტი დაგიმთავრდა და რას აპირებ?

- წამოსვლის წინ ვესაუბრე მწვრთნელს, რომელმაც გუნდში ჩემი დატოვების სურვილი გამოთქვა, თუმცა პირობებზე ჯერ არ ყოფილა ლაპარაკი და ამიტომ ვერაფერს ვიტყვი. მწვრთნელმა კლუბის მფლობელს უნდა უთხრას, რომ ვჭირდები და პირობებზე მერეღა დაიწყება ლაპარაკი. თუ ჩემთვის მისაღებ პირობებს შემომთავაზებენ, სიამოვნებით დავრჩები როკში . ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ვფიქრობ, რადგან არც ერთი კლუბისგან შემოთავაზება არ მაქვს. ვნახოთ, რა იქნება - ჩემი მომავალი კლუბი ალბათ მალე გაირკვევა. ტრანსფერის საკითხებზე ჩემი მენეჯერი მუშაობს.

